# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 7 სექტემბერი, 2010 წელი.

№167 (6533)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

## ქინიანი კაცის ვნებანი



②



## სეზონური ოპოზიცია და საამაყო სიტყვა „კონსტიტუცია“ ③

## ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს შენი მიშა, მაგრამ... ⑥



## გავერთიანდეთ!



### პოლიტიკური პარტია „მთლიანი საქართველოს“ ლიდერი ვლადიმერ ვახანია აცხადებს თავის პოზიციას

„მოვუწოდებ ჩემს მხარდამჭერებს გაერთანებას ჩვენი პარტიის – „მთლიანი საქართველოს“ ირგვლივ. ჩვენ არა ვართ ოპოზიციური პარტია, ჩვენ ვართ პოზიტიური პარტია და მზად ვართ ვითანამშრომლოთ და გავერთიანდეთ ყველა პოზიტიურ ძალასთან. ⑤

●

ჩვენ გვჭირდება ზნეობრივი გაერთიანება!

●

რომელი პრეზიდენტი, მინისტრი, პროკურორი ან მოსამართლე დამიდგება საქვეყნოდ მე? – ვერც ერთი!



## უკან დატრიალებული „ეშმაკის ბორბალი“, ცეცხლმოკიდებული ფასები და გახარებული ბავშვთასახლელები ⑫

## სოციალური მოტივით სერიოზული საპროტესტო აქციების დაწყებას გამოვრიცხავ ③



## ნუ დაარქმევთ ბავშვებს მამების და დაღუპული ნათესავების სახელებს ⑩



### ციკლიდან: „ჩვენ გავფრინდებით“



# ჟინიანი კაცის ვნებანი

იყო დრო, ადამიანი ცოცხზე, იატაკის საწმენდ ჯოხზე და ჯაგრისზე ამხედრებული დაფრინავდა, ოღონდ მართვის მოწმობის ასაღებად სული ეშმაკისთვის უნდა მიეყიდა.

ენთუზიასტებს რა გამოლევდა და იყო კუდიანებისა და ჩლიქიან-რქიანების ჰაერში ჭენაობა.

მერე პროგრესმა თანდათან დავიწყებას მისცა ეს პრიმიტიული საფრენი აპარატები.

და მაინც ,როდესაც ძმებმა უილბერ და ორვილ რაიტებმა 1903 წელს პირველი შიგაწვისძრავიანი თვითმფრინავი ააგეს და სათავე დაუდეს ავიაციას, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ გავიდოდა სულ რაღაც ერთი საუკუნე და მათი მოდიფიცირებული პირმშო იმდენად საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახდებოდა, რომ სახელმწიფოს პირველ მოხელესაც კი შეეძლებოდა მისი ჰაერში ალივლივება.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჟინიანი კაცია. იმდენად ჟინიანი, რომ სანამ ჩაფიქრებულს არ აისრულებს, არც თვითონ მოისვენებს და არც ქვეყანას მოასვენებს.

ჩაიფიქრა „ვარდების რევოლუცია“ და იმდენი აკოწიწა ყველა უკმაყოფილო და ჩასაფრებული, თბილისიდან რომ ვერ მოახერხა, წალენჯიხიდან დააქცია ქვეყანა თავზე ედუარდ შევარდნაძეს...

ჩაიფიქრა აჭარის საქართველოსთვის შემოერთება და მასაის ტომის მეომარივით სწვდა კუდში აჭარის ლომს, ძლევამოსილად გასტყორცნა უცხო მხარეში და ბათუმი მსოფლიოს უპირველეს საკურორტო ქალაქად აქცია (თანაც ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისიაძ...

ჩაიფიქრა საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარება და კანადაში თონეში ჩაკიდებული კოხტა ვერა ქობალია მოიძია, თბილისში ჩამოამინისტრა და რუსები შურ-ბოღმით გაამწვანა...

ახლაც — სანამ თვითმფრინავის შტურვალს არ მიუჯდა, მზია ბებიას გამომცხვარი ხაჭაპური პირში არ ჩაუდვია.

რომ გვეგონა სახელმწიფო საქმეს აკლავს თავს და საცაა ოკუპანტებს კავკასიონის იქით გადარეკავსო, თურმე მთელი ზაფხულის განმავლობაში მფრინავის პროფესიას ეუფლებოდა (ახლა ზოგიერთ ავყიას და ყველაფერში ცუდის მძებნელს რომ ჰკითხო, წინდაწინ ემზადება საჭიროების დროს საკუთარი ფრთებით რომ გაასწროს აქედანოძ.

არადა, თურმე ფრენა მისი ბავშვობის ოცნება ყოფილა.

ახლა, როცა პრეზიდენტი გახდა, სულ ბღუჯა-ბღუჯა ისრულებს სიყმაწვილის ნატვრებს (აკი ერთხელ წამოსცდა კიდეც, ეს რა კარგი ყოფილა პრეზიდენტობაო!ძ.

ბუნებრივია, პრეზიდენტობა ძნელი შესალევიც არის.

ამიტომ ხდება ახლა საჭირო დიდხანს (იქნებ მუდმივადაცძ იჯდეს სათავეში და როცა მოესურვება, იფრინოს და აფრინოს.

თან გარანტიაც არ გვაქვს, რომ მხოლოდ მსუბუქი ტიპის თვითმფრინავს დასჯერდება.

აკი ბათუმის თავზე შემოფრენის შემდეგ მიწაზე დაჯდომისას დანანებით თქვა „აი, დიდი თვითმფრინავი რომ ყოფილიყო!“

ე.ი. მიმინო — ვალიკო მიზანდარივით დიდი ავიაციაც ეძახის ჩვენს ჟინიან პრეზიდენტს.

ჰოდა, თუ ახლა ბათუმ-ანაკლიის სახმელეთო მარშრუტით ეძებენ ხოლმე თანაშემწემდივნები დროდადრო ანაზდეულად გაუჩინარებულ პრეზიდენტს, აბა მერე ატყდება სრულიად საკონტინენტთაშორისო ძებნა და წივილ-კივილი: „სტამბოლი... კიევი... პარიზი... ლონდონი... ვაშინგტონი: „პრეზიდენტი დაგვეკარგა წითელპერანგა, ან გადაფრენილი, ან გადმოფრენილი ხომ არ გინახავთ? სად ეშმაკებში ჩაიყლაპა ნეტავ?“

აქვე ერთი ძველი, საბჭოთა ეპოქის ანეკდოტი მახსენდება:

ის დროა, კრემლი კოსმოსში რიგრიგობით უშვებს თავის მომზადებულ სოცბანაკელ კოსმონავტებს. ბოლოს ვიეტნამელი გაუშვეს ორ რუსთან ერთად.

დაბრუნდა დედამიწაზე გმირი ვიეტნამელი.

ჟურნალისტები ეკითხებიან: როგორ ჩაიარა ფრენამ?

შესანიშნავად — უპასუხებს ის სახეზე ზეთჩამომდინარი — ჩვენმა ინტერნაციონალურმა ეკიპაჟმა დავალება წარმატებით შეასრულა, არავითარი გაუგებრობა არ მომხდარა.

— მაჯებზე რა დაგემართათ, რატომ გაქვთ დალურჯებულ-დასიებული?

— ეს... არაფერი. უბრალოდ, როცა ხომალდის მართვაში მონაწილეობის მიღებას შევუდგებოდი, ბიჭები მაშინვე ჩამცხებდნენ: ამას ხელი არ ახლო, იმას ხელი არ ახლო!..

მე არ შემიმჩნევია, ჩვენს პრეზიდენტს მაჯები დასიებული ჰქონდა თუ არა ბათუმის თავზე ძლევამოსილი ფრენის შემდეგ.

უფრო სავარაუდოა — არა! მაგრამ ის კი თვალნათლივი იყო, რა გახარებული, შვებამოგვრილი სახე ჰქონდა იმ თვითმფრინავის პილოტს, პრეზიდენტს რომ ახლდა დამზღვევად.

ვუშვებ სრულიად ჰიპოთეზურ შესაძლებლობას: ვთქვათ, თვითმფრინავი ჩამოვარდნილიყო (რა, არ ხდება? ბოლოს და ბოლოს, კაჩინსკის საპრეზიდენტო ლაინერი ჩამოვარდა, რომელსაც ექსტრაკლასის პროფესიონალები მართავდნენ!ძ, უბედურ პილოტს ხომ დაჰკიდებდნენ იმ ადგილით, რომლით დაკიდებასაც აქამდე სრულიად უპერსპექტივოდ ჰპირდება ბატონ მიხეილს რუსეთის პრემიერი პუტინი. ჰოდა, რომ გადარჩა, იმიტომ ეფინა სახეზე გახარებული ღიმილი, მაგრამ კოკა ყოველთვის მოიტანს წყალს? მით უფრო, ერთი რომ აიწყვიტა, აწი ვინღა გააჩერებს გაფრენადაჩვეულ მიხეილ სააკაშვილს!

ამრიგად, ჩვენი შუშხუნა ბელადი ყველაფერში ტოლს უდებს ჩრდილოელ ვიზავის. ერთი ამ საჰაერო ვირაჟებით ჩამორჩებოდა და აჰა, თავში ჩაარტყა. ახლა ცხენის ჯირითი, ანკესით თევზის ჭერა და წყალქვეშა ნავის მანევრირებაღა დაგვრჩა და ვლადიმერ ვლადიმეროვიჩს ხელში შემოეფცქვნება თავისი უჩვეულოდ ალმატებული რენომე, მით უფრო, რომ ჩვენსასაც ქვეყნის სათავეში მესამედ ჯდომა უკვე გაბანალებული აქვს, თანაც არა საეჭვო პიროვნული თვისებებითა და ღირსებებით, არამედ უტყუარად — კონსტიტუციით.

**ალეკო ასლანიშვილი**

### კონსტიტუცია

# მწვავე შეკითხვა, რომელიც არც ერთ მეცნიერს არ დაუსვამს...

**საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის საჯარო განხილვამ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ორ საათს გასტანა. მეცნიერებმა, მშვიდ ვითარებაში, ძირითადად მოიწონეს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები.**

პარლამენტის თავმჯდომარემ, პროექტის სახალხო განხილვის კომისიის ხელმძღვანელმა დავით ბაქრაძემ აღნიშნა, რომ ეს არის არა უბრალოდ ცვლილებები, არამედ სერიოზული პოლიტიკური ამოცანის მქონე პოლიტიკური პროცესი. ამ თემის აუცილებლობა განვლილი 18 წლის ანალიზმა განაპირობა, რის შედეგადაც ქართული შიდაპოლიტიკის სპეციფიკა გამოიკვეთა. ეს არის პოლიტიკური სისტემის მუდმივი არასტაბილური და არამდგრადობის განცდა, რომ პირველი პრეზიდენტიდან დაწყებული ბოლო მოვლენებით დასრულებული ოპოზიციური ბრძოლის მთავარი სამიზნე პრეზიდენტის ინსტიტუტი იყო: მისი გადაყენებით, ან რიგგარეშე არჩევნებით ცვლილებების მიღწევა ქვეყანაში.

დავით ბაქრაძის განმარტებით, დღეს ქვეყანა მზად არის ახალი პოლიტიკური სისტემის შესაქმნელად, რათა ქართული პოლიტიკის ტრადიციული პრობლემა შეიცვალოს — პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი ქუჩიდან პარლამენტში გადავა, მუდმივად ერთ ინსტიტუტზე შეტევით ბრძოლას აზრი დაეკარგება და საპარლამენტო არჩევნების მოგება არსებით მიზნად გადაიქცევა: **ეს იქნება დაბალანსებული, ევროპული ტიპის კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების სამ ძირითად შტოს — პრეზიდენტს, პარლამენტსა და მთავრობებს შორის მიღწეულია ბალანსი, და ფუნქციები სწორად არის განაწილებული,** — დასძინა დავით ბაქრაძემ.





მისი თქმით, ახალი კონსტიტუციის პროექტის მიხედვით, პარლამენტი ახალ უფლებას იძენს, მას შეეძლება მთავრობის პირდაპირი და დამოუკიდებელი ფორმირება, პრეზიდენტი ყოველდღიური პოლიტიკური მოვლენებისგან დისტანცირებული ხდება, ანუ ნეიტრალური არბიტრის ფუნქციას შეითავსებს. პოლიტიკური ძალა, რომელიც მოიგებს არჩევნებს, მთავრობას პირდაპირ აკომპლექტებს.

დავით ბაქრაძემ ახალი კონსტიტუციის პროექტის ღირსებად ყველა პოლიტიკური პარტიის მიმართ სწორედ ეს სერიოზული შეთავაზება მიიჩნია — მონაწილეობა მიიღონ საპარლამენტო არჩევნებში და, ნორმალური შედეგის შემთხვევაში, მთავრობაშიც მოვიდნენ! ანუ სიმძიმის ცენტრი უკვე პარლამენტში იქნება.

პარლამენტის თავმჯდომარემ კონსტიტუციის პროექტს ძალიან კარგი, წინგადადგმული ნაბიჯი უწოდა ოპოზიციის უფლებების თვალსაზრისით, ვინაიდან პარლამენტი პირდაპირ აკომპლექტებს მთავრობას, ბუნებრივია, მთავრობაში მოსვლის შანსიც აქვს.

პროექტზე მსჯელობისას, დავით ბაქრაძემ ხაზი გაუსვა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს: პარლამენტის მიერ საპრეზიდენტო ვეტოს გადალახვას დაბალი ქვორუმით, საგამოძიებო კომისიების შესაქმნელად ქვორუმის დაწევას, ძლიერ თვითმმართველობას და მოსამართლეების უვადოდ დანიშვნას.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ავთანდილ დემეტრაშვილმა დავით ბაქრაძის სიტყვა შინაარსიან გამოსვლად მოიხსენია. მან შეაქო სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობა. არც ის გამორჩენია, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი ევროპაში წარმატებულად შეაფასეს. ხოლო ვენეციის კომისიის ბოლო სხდომაზე ისიც კი უთქვამთ, რომ საქართველო ის ქვეყანაა, რომელმაც პოსტსაბჭოურ სივრცეში ევროპული კონსტიტუციონალიზმისკენ თამამი ნაბიჯი გადადგაო.

ავთანდილ დემეტრაშვილის თქმით, ევროპული კონსტიტუციონალიზმი, უწინარესად, გულისხმობს ერთპიროვნული მმართველობიდან ინსტიტუციურ თანასწორობაზე გადასვლას. იგი ახალი პროექტის წარმატებად, აგრეთვე, მიიჩნევს მე-7 მუხლს, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი თვითმმართველობები ძლიერდება.

ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვაში მონაწილეობდნენ: როინ მეტრეველი, თამაზ გამყრელიძე, ჯონი ხეცურიანი, პავლე კუბლაშვილი, მინდია სალუქვაძე და სხვები...

**არც ერთ მეცნიერს არ უკითხავს, რას ფიქრობდა პროექტის სახალხო განხილვის კომისიის ხელმძღვანელი ამ ბოლო დროს საზოგადოების ვნებათაღელვაზე — თითქოსდა, სამომავლოდ ახალი კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტი მოირგებს პრემიერის თანამდებობას...**

დავით ბაქრაძემ, შეხვედრის დასასრულს, თავად გაამახვილა ყურადღება ამ საკითხზე, ეს „მორგება“ არასწორია, — დასძინა მან, — დღეს მომავალ პრემიერს ვერანაირად ვერ დაერქმევა სახელი და გვარი, რადგან საამისოდ აუცილებელია საპარლამენტო არჩევნების მოგება, მოიგებ არჩევნებს? გადაწყვეტ, ვის აყენებ პრემიერად, ანუ რომელ პოლიტიკურ ძალასაც ხალხი დაუჭერს მხარს, ის მოვა ხელისუფლებაშიო.

**ასე რომ, მშვიდობიანად დასრულდა კიდევ ერთი განხილვა „ქართველი ინტელექტუალური ელიტის გამორჩეულ და დამსახურებულ წარმომადგენლებთან“ (დავით ბაქრაძის სიტყვებიაძ. ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვის ერთთვიან „ტურნეს“ 10 სექტემბერს დაესმება წერტილი. შემდეგ კონსტიტუციის ახალ პროექტზე პარლამენტი იმსჯელებს.**

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ „ყველა თავისას გვთხოვს“

# სეზონური ოპოზიცია და საამაყო სიტყვა „კონსტიტუცია“

**ჩემო ძვირფასო მკითხველო, როგორც ჩვენს გაზეთში გამოსაქვეყნებელი წერილის სტანდარტული ფორმა მოითხოვს, ახლა წესით ისეთი რაღაც უნდა დავწერო, რომელიც მთელი ჩემი დანარჩენი „ნაღვაწის“ ზოგად და წინმსწრებ სახეს დაგანახვებს.**

**ბევრი ვეცადე ასე არ გამეკეთებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მცირე შესავალი მაინც იმ ნორმებში ჩაჯდა, რასაც ჩვეულებრივი საგაზეთო სტანდარტი მოითხოვს.**

**კარგით, პირდაპირ საქმეზე გადავალ.**

დამავალეს, ერთი კითხვა მომეფიქრებინა და ოპოზიციის ე. წ. ლიდერებისთვის დამესვა ამ ე. წ. ახალ კონსტიტუციასთან დაკავშირებით.

დავიწყებ იქიდან, რომ ძალიან მაგარი სიტყვაა ლიდერი!

თანაც ისეთი ლიდერი, როცა პარტიაში სამი ადამიანია (ერთი მამაკაცი და ორი გოგონა). ამათგან ერთი თავმჯდომარეა (ცხადია მამაკაცი), ხოლო იმ გოგონათაგან ერთ-ერთი 200 ლარად ნაქირავებ ოფისში ზის და სატელეფონო ზარებზე იძლევა „დამუღამებულ“ პასუხს: – გასულია სხდომაზე!

ის გოგონა მთელი შემართებით იძლევა ამ უაღრესად რთულ პასუხს (ფრაზაში სიყალბე არ ისმის) და პარალელურად, პარტიის მესამე წევრს, ანუ მეორე გოგონას (თავის დაქალს) ვიღაც ბიჭზე, რომელიც ბოზოყვათის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია და მზად არის იმ პარტიის წევრი გახდეს, ეჭორავება.

ლიდერი კი სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დაფინანსებას ლებულობს.

ოდესღაც პატარა „ბუტკა“ მქონდა და ბიუჯეტში ფული შემქონდა.

მერე მითხრეს, გარევაჭრობა არაო და ჩემი „ბუტკაც“ ფაფუ!

მერე იმ ლიდერის ნახვა მინდოდა. არა, „ბუტკაზე“ კი არ უნდა მეთქვა, კონსტიტუციაზე უნდა მესაუბრა.

ვერ ვნახე. სხდომაზე იყო.

გავბრაზდი (იცით რა ლამაზი „ბუტკა“ მქონდა?) ამიტომ დავალების ერთი კითხვით არ დავკმაყოფილდი და პირველ რიგში გადავწყვიტე, გამეგო, თუ რას ნიშნავს სიტყვა „ლიდერი“.

თქვენ წარმოიდგინეთ და, ვერავინ, ვისაც შეეძლო აეხსნა თავისი სტატუსი, ანუ ვერც ერთი „ლიდერი“ ვერ ვიპოვე.

უარესად გავბრაზდი და ჩემთვის ჩავილაპარაკე, რომ მთელი ოპოზიცია ამოვიდა ყელში!

მერე ცოტა დავმშვიდდი და მივხვდი, რომ მართლა ამოვიდა!



ერთ პატარა ლექსიც გამახსენდა.

ისეთი ლექსი, რომლიდანაც წერილის შინაარსის შესახებ გარკვეულ აზრს გამოიტანთ:

**„ყველა თავისას**
**დაგვკანკალებს და**
**ყველა თავისას გვთხოვს,**
**საყვარელს უნდა შენი**
**თვალები,**
**საკაბე უნდა ცოლს.**
**წახვალ და ყველას**
**დაემალები.**
**წახვალ და თოვს,**

კარგი ლექსია არა?

ცოლს უყიდი საკაბეს, აბა რას იზამ, როცა საყვარელთან გარბიხარ.

მიუტან იმ საკაბეს, ლოყაზე აკოცებ და დაუმტკიცებ სიყვარულს.

ჰო, რა მაგის პასუხია და, კონსტიტუციის ახალ პროექტსაც დაამტკიცებს სულ მალე ხელისუფლება.

დიახ! დაამტკიცებს!

ვიღაცეები მიიღებენ კონსტიტუციის ახალ ვარიანტს და კარგა ხნის წინათ „შეკერილ კაბასაც“ ჩაიცვამენ.

არადა თოვს.

თოვს და თან ძალიან მაგრად.

ისე თოვს, რომ უკვე პურის კრიზისია. ხალხი ქუჩაში ცხოვრობს და უკვე მაგრად დაგვერხა!!!!!!

არადა:

– საყვარელს უნდა შენი თვალები, კონსტიტუცია – ხელისუფლებას და საკაბე – ცოლს!

აბა მიდი და რომელიმეს შეეწინააღმდეგე!

მიდი, თუ ვაჟკაცი ხარ!

ჰო, ისევ იმ მარტივ კითხვას დავუბრუნდები, რომლის დასმაც ოპოზიციის ლიდერებისთვის რედაქტორმა დამავალა და რომელიც ვერ ვკითხე.

ააა, თქვენ ჯერ კითხვა გაინტერესებთ?

აქ ცოტა „ყვითელ ინტრიგას შემოვაგდებ“.

კითხვას რა მნიშვნელობა აქვს, როცა ვერც ერთი ოპოზიციური „ლიდერი“ ვერ ვნახე.

ზოგი ქალაქში არ არის და ზოგი დაკავებულია.

უფრო სწორად, ქალაქში არავინ არ არის და იმათზე, ვიზეც მითხრეს, „დაკავებულიაო“, ვიტყვი, რომ მაგარი ჭკვიანი დაცვა ჰყავს კარებთან.

აი, ყოჩაღ!

ჰო, კარგით, რატომ მიჯავრდებით. გეტყვით იმ კითხვას, რაც იმათთვის უნდა დამესვა.

**– ეს ახალი კონსტიტუცია, რომელიც სააკაშვილის პირად მმართველობას აკანონებს, ფაქტობრივად უკვე მიღებულია. თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ ამ უმაღლესი საკანონმდებლო აქტის მიმართ?**

კარგია ხომ?

საოცარია და, ოპოზიციის აღშფოთებული რეაქციის ნაცვლად ე.წ. „ექსპერტთა კლუბის“, თუ „უსაქმურთა საახლობლოს“ („საძმომდე“ ვერ „ქაჩავენ“) უაზრო განმარტებებს ვისმენთ.

ისეთ განმარტებებს, რომლებიც დაახლოებით ისე ისმის, როგორც ბრძენი კინა-ლოკო ამბობდა „სალამურას თავგადასავალში“.

**– თუ კონსტიტუცია ამ სახით მივიღეთ, მაშინ კარგი იქნება ის, რომ კონსტიტუცია მივიღეთ და თუ არ მივიღეთ, მაშინ კარგი იქნება ის, რომ არ მივიღეთ.**

მაგარია არა?

რედაქციის დავალება ვერ შევასრულე.

ვერ შევასრულე იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ხმელთაშუა ზღვის კურორტებზე მივლინება არ გამომიწერეს.

ჰოდა გადავწყვიტე „უბრალო“ მოსახლეობასთან „გამერკვია“ კონსტიტუციის ახალი პროექტის ავკარგიანობა.

ჩემი არაპოლიტიკოსი ახლობლებისგან უმარტივესი პასუხი მივიღე – არ ვიცი! (თქვენ ხომ არ გეგონათ, რომ ქუჩაში დავდგებოდი დიქტოფონით და გაძვირებული პურის საყიდლად მისულ არაცნობად მოქალაქეებს დავუსვამდი ამ კითხვას? ორი თავი კი არა მაქვს. უბრალოდ ჩემს არაპოლიტიკურად აქტიურ ახლობლებს მივმართე).

როგორც გაირკვა, თურმე დავით ბაქრაძე გვატყუებს, როცა გვეუბნება, კონსტიტუციის პროექტს მოსახლეობასთან ვათანხმებ და მათს შენიშვნებსაც ვითვალისწინებო.

გულზე ხელი რომ დავიდოთ, და სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ, როდის არ გვატყუებს ბაქრაძე?

რა, თქვენ გგონიათ, რომ ის მართლა მეორე პირია სახელმწიფოში?

ვინ ჰკითხავს ბაქრაძეს, ან გამგებლების მიერ დარბაზში მოყვანილ ხალხს კონსტიტუციის მიღებას?

იმ ხალხს კი არა, პარლამენტარებს ეკითხება ვინმე რამეს?

ჰოდა როგორც იმ ზემოთ ნახსენებ ლექსშია...

ისე, რაც შეეხება ოპოზიციას, მაგათი „აზრები“ და „ბრძოლის გზებიც“ ვიცოდი.

ვიცოდი, რომ მათ „ტექსტი“ ზოგადად არ მოსწონდათ და როცა ერთ–ერთ მოქალაქეს ოპოზიციის კონსტიტუციასთან დამოკიდებულების შესახებ ვკითხე, მიპასუხა, რომ:

– ნუ „ოპოზიციაა“ და რატომ უნდა მოეწონოთ? არა, მამენტ მოსწონთ, მაგრამ ეგაა მაგათი პონტი და ატკაზზე ხო არ წავლენ?

– როგორც მიხვდით, იმ მოქალაქეს საერთოდ „ცალ ფეხზე ჰკიდია“ მთელი „ჩვენი პოლიტიკური სპექტრი“ თავისი ახალი კონსტიტუციით.

ისე, რაც მართალია, ზოგიერთი ცალკეული „ოპოზიციური ლიდერი“ ევროპულ გზას დაადგა და „შეშფოთებით“ ადევნებდა თვალს საპრეზიდენტო მმართველობის საპრემიერმინისტრო მმართველობით შეცვლის „ინიციატივას“.

სამწუხაროდ, მათი „შეშფოთება“ ზოგიერთ საგაზეთო ფურცლებსა და ტელეკომპანია „კავკასიას“ ვერ გასცდა.

მათთან მიმართებაში ერთადერთი რაც შემიძლია ვთქვა, არის ფრაგმენტი ძალიან ძველი ანეკდოტიდან: – ნუ შფოთავთ, დანებდით და „მიიღეთ სიამოვნება“.

ისე ზაფხული–შემოდგომის სეზონზე, ოპოზიცია მკრთალ ფერებში წარმოგვიდგა და, როგორც ჩანს, მათი „კუტურიეები“ შემოდგომა-ზამთრის სეზონსაც ასევე მკრთალ ფერებში შემოგვთავაზებენ.

არადა, რა კარგი იქნებოდა, რომ 2013 წლისთვის სპეციალურად მისაღები კონსტიტუცია არ გვქონდეს და „სეზონური“ ოპოზიციის ნაცვლად, ნამდვილი ოპოზიცია აკეთებდეს საქმეს.

**გია გაბრიჭიძე**

◎ კომპეტენტური აზრი

# სოციალური მოტივით სერიოზული საპროტესტო აქციების დაწყებას გამოვრიცხავ

## გვესაუბრება ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ლადო პაპავა



**– ბატონო ლადო, როგორ დაახასიათებდით ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ვითარებას? ექსპერტები მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მეორე ტალღაზე აქტიურად საუბრობენ. თუ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მეორე ტალღა მართლაც დაიწყო, როგორ აისახება იგი საქართველოზე?**

– საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს როგორც კრიზისული და ამ კრიზისს, გლობალური ეკონომიკური კრიზისისაგან დამოუკიდებლად, ეროვნული ფესვები აქვს. რაც შეეხება გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს, მასზე საექსპერტო წრეებში ერთიანი აზრი ჩამოყალიბებული არ არის. ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ კრიზისი დასრულებულია, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ მოსალოდნელია მეორე და მესამე ტალღა და არიან ექსპერტები, რომლებიც ყოველგვარ ტალღებს გამორიცხავენ, თუმცა მიიჩნევენ, რომ კრიზისი, შესაძლოა, დროში გაიწელოს და მის დასრულებაზე ჯერ საუბარი ნაადრევია.

თუ ჩვენ, ჩვენთან არსებულ ეკონომიკურ სურათს რეალურად შევხედავთ, ქვეყანაში კრიზისია, მაგრამ მოსახლეობა ამ კრიზისს მთელი სიმწვავით იმის გამო ვერ გრძნობს, რომ საქართველო, როგორც რუსეთის აგრესიით დაზარალებული ქვეყანა, 2010 წლის ბოლომდე საერთაშორისო დახმარებას იღებს. საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხები შემოდის ბიუჯეტში, რომელიც ბიუჯეტს ავსებს და მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დაფინანსებას ბიუჯეტიდან იღებს, მხედველობაში მაქვს საბიუჯეტო სექტორში დასაქმებული მოსახლეობა, პენსიონერები და სხვადასხვა შეჭირვებული მოსახლეობა, კრიზისს მთელი სიმწვავით ვერ გრძნობენ.

ის, რომ ეს ზაფხული აღმოჩნდა ხანძარტევადი, ეს არანაირ კრიზისთან არ არის დაკავშირებული. იმის გამო, რომ რუსეთის ევროპულ ნაწილში ხანძარი დღესაც მძვინვარებს და ხორბლის სავარგულებს ანადგურებს, რუსეთი ხორბლის მსოფლიო ბაზარს გამოეთიშა, ხორბალზე ფასი გაიზარდა. რადგანაც საქართველო ხორბალს იმ რაოდენობით ვერ აწარმოებს, რაც ქვეყნის უზრუნველყოფისთვის არის საჭირო, იძულებული ვართ, იგი შემოვიტანოთ. ბუნებრივია, როცა ფასები იზრდება, მათი ზრდა საქართველოზეც ვრცელდება.

**– ბევრს საუბრობენ სასურსათო დეფიციტის საშიშროებაზე. ემუქრება თუ არა საქართველოს სასურსათო დეფიციტი?**

– ტერმინი „სასურსათო დეფიციტი,“ კომუნისტების დროს იყო შესაძლებელი. დღევანდელ ვითარებაში ასეთი ტერმინის გამოყენება უხერხულიცაა. თუ რაიმე სახის საქონლის მიწოდება მცირდება, ფასი ბუნებრივად მატულობს. ეს იმას ნიშნავს, რომ იგივე საქონლის შეძენა უფრო მაღალ ფასში მოგიწევს. იმის გამო, რომ რუსეთი ხორბლის ბაზარს გამოეთიშა, ხორბალზე ფასმა მოიმატა. ხორბალი რეალურად არის, უბრალოდ მისი ფასი გაიზარდა.

**– მსოფლიოში ხორბლის დეფიციტმა ქვეყანაში მეხორბლეობის პრობლემები წარმოაჩინა. რატომ დარჩა სოფლის მეურნეობის ეს დარგი ხელისუფლების ყურადღების მიღმა და თქვენი აზრით, რამდენად მართებულია მტკიცება, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან საქართველოში ვაჭრობის ლობი წარმოების ლობისტებს ყოველთვის თრგუნავდა?**

იხ. 4 გვ.

## კომპეტენტური აზრი

# სოციალური მოტივით სერიოზული საპროტესტო აქციების დაწყებას გამოვრიცხავ

**(მესამე გვერდიდან)**

— სოფლის მეურნეობის სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ სპეციალისტებისგან მსმენია, რომ სოფლის მეურნეობაში არის გარკვეული სპეციფიკა. საქართველოში მეხორბლეობის განვითარებას ის ზღუდავს, რომ ქართული ხორბალი ისეთი მაღალი ხარისხის არ არის, როგორიც უკრაინული, რუსული, ან თუნდაც ყაზახური ხორბალი. სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოში მეხორბლეობა განვითარებული არ იყო. იგივე, ილია ჭავჭავაძეს თუ დავესესხებით — სჯობია განავითარო მეღვინეობა, ვიდრე მეხორბლეობა. მეღვინეობით უფრო მეტი ხორბლის შეძენაა შესაძლებელი, ვიდრე ჩვენთან მეხორბლეობის განვითარებით. ამას სოფლის მეურნეობაში ქვეყნის უპირატესობის გამოყენება ჰქვია. ამდენად, მე არა ვარ იმ აზრის, რომ აუცილებელია საქართველოში მეხორბლეობა განვითარდეს. საქართველოში უნდა განვითარდეს სოფლის მეურნეობის ის დარგები, რომლებიც ყველაზე დიდ შემოსავალს მისცემს ქვეყანას. შემდეგ, გვექნება შესაძლებლობა ამ შემოსავლით იყიდო ის, რაც გაკლია. მაგალითად, ხორბალი.

ჩვენ, სოფლის მეურნეობაში გვაქვს ისეთი დარგები, რომლებიც აბსოლუტურად მივიწყებული და საერთოდ უპატრონოდაა მიტოვებული. ყველას გაგვიხარდა არაბებმა და ირანელებმა ქართული ცხვრის მაღალხარისხიანობა რომ შენიშნეს და მასზე მოთხოვნა გაჩნდა, მაგრამ ჩვენ ისევ უცხოელებს ველით, რომ შემდეგ მათ ქართული ფუტკარი ხელახლა აღმოაჩინონ? ყოველთვის აღიარებული იყო ქართული ფუტკრის თვისებები და აქედან გამომდინარე თაფლის მაღალი ხარისხი. საერთოდ უპატრონოდაა მიტოვებული მეაბრეშუმეობა. ამ დროს სოფლის მეურნეობის მინისტრი ლაპარაკობს ისეთ არაადეკვატურ საკითხებზე, როგორიცაა მაგალითად, ბაყაყების ექსპორტი, ან ნიანგების მოშენება სამეგრელოში. მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგები გვაქვს მიტოვებული, როგორიცაა მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობაა, ამაზე საუბარი უფრო კომიკურ ხასიათს იძენს. ეს დარგები მაღალშემოსავლიანობით გამოირჩევა. მეფუტკრეობით ცალკეული ინდივიდები არიან დაკავებული და საექსპორტოდ საქონელი საერთოდ არ გაგვაქვს, ხოლო რაც შეეხება მეაბრეშუმეობას, საქართველოში ამით თუ კიდევ ვინმეა დაკავებული, არც კი ვიცი.

**— როგორ აისახება არსებული ვითარება ლარის კურსზე, მოსალოდნელია თუ არა ლარის დევალვაცია?**

— ევროზონულ ბანკს აქვს სათანადო ოდენობის რეზერვები. ქვეყანაში დიდი ოდენობით შემოდის უცხოური დახმარება, რომელიც ბიუჯეტში უნდა იყოს ასახული ლარებში, ამიტომ მთავრობა დოლარში თუ ევროში შემოსულ დახმარებას ეროვნულ ვალუტაში ახურდავებს და ეროვნული ბანკიდან ლარებს ყიდულობს, რაც ეროვნული ბანკის რეზერვებს ზრდის. აქედან გამომდინარე, ისევე როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში მე რაიმე საფრთხეს ლარის გაცვლით კურსთან დაკავშირებით ვერ ვხედავ. ობიექტურად, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში ლარი ისევ გააგრძელებს დევალვაციას, მაგრამ ეროვნულ ბანკს აქვს ყველა რესურსი იმისათვის, რომ დევალვაცია იყოს პროგნოზირებადი და არ იყოს ნახტომები. რამდენიმე კვირის წინათ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის გიორგი ქადაგიძის ინიციატივით ექსპერტთა ჯგუფს მასთან და მის გუნდთან გვქონდა შეხვედრა, რომელზეც მან საკმაოდ დეტალურად წარმოადგინა თავისი ხედვა იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რაც არსებობს ფულად-საკრედიტო სისტემაში. ამიტომ მე გამოვთქვამ რწმენას, რომ ის არ დაუშვებს ლარის დევალვაციაში ხტომებს. ყოველ შემთხვევაში ბატონმა ქადაგიძემ მეცა და ჩემს კოლეგებს ამის პირობა მოგვცა და მეტიც, დეტალურად აგვიხსნა, ამისთვის თუ რის გაკეთებას აპირებს, რაც ჩვენ სრულად გავიზიარეთ.

**— დღეისთვის რამდენია ქვეყნის საგარეო ვალი და რა რესურსები აქვს ქვეყანას საგარეო ვალის დასაფარად?**

— დღეისთვის საგარეო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის 35 პროცენტს აღწევს, რაც საგანგაშო არ არის. საერთაშორისო პრაქტიკაში საგანგაშო თანაფარდობად მიჩნეულია ვითარება, როცა საგარეო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის 60 პროცენტს აჭარბებს. როცა ჩვენ საგარეო ვალზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვსაუბრობთ მთავრობის მიერ აღებულ საგარეო ვალზე, მაგრამ როგორც წესი, ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ იმას, თუ რა ვალი აიღეს საქართველოს კერძო სტრუქტურებმა, ბანკებმა, სადაზღვევო კომპანიებმა, სხვადასხვა ფირმებმა. თუ ამ სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ აღებულ ვალს გავითვალისწინებთ, ჯამში საგარეო ვალი მთლიან შიდა პროდუქტს აღემატება კიდეც. მთავრობა არ არის ვალდებული, რომ კერძო სექტორის მიერ აღებული ვალის გასტუმრებისთვის თავი შეიწუხოს, მაგრამ კერძო ფირმებს შორისაც არის განსხვავება. თუ რომელიმე მსხვილ ბანკს დაემუქრა საფრთხე, მაშინ მთავრობა იძულებული იქნება, ჩაერიოს. ყველაზე მეტად მთავრობას ამ კუთხით სჭირდება მუშაობა, რომ კერძო სექტორმა არ გააგრძელოს საგარეო ვალის ზრდა, რომ შემდეგ მთავრობას კრიტიკულ მომენტში მოუწიოს ჩარევა.



**— თქვენი შეფასებით, რამდენად რეალურია მტკიცება, რომ სოციალურმა კრიზისმა ქვეყანაში საპროტესტო აქციები გამოიწვიოს? და რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ ეკონომიკურმა პრობლემებმა სოციალური კრიზისი და საპროტესტო აქციების ტალღა არ გამოიწვიოს?**

— მთავარია, თავად ხელისუფლებამ არ გადადგას ისეთი ნაბიჯები, რაც საპროტესტო აქციების დაწყების საბაბი შეიძლება გახდეს. რაც აგვისტოს თვეში გარემოვაჭრეებთან და აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობასთან დაკავშირებით მოხდა, დაუშვებელია. ამ პროცესებისას გამოიკვეთა, რომ ხელისუფლებას ჰყავს პრივილეგირებული მოსახლეობა, რომელსაც სახურავებსაც ურემონტებს, ელექტრომრიცხველებსაც უმონტაჟებს და არის მეორე კატეგორია, რომელსაც შენობებიდან ყრიან და საცხოვრებლად უშვებენ ისეთ ადგილებსა და შენობებში, სადაც საცხოვრებელი პირობები რეალურად არ არსებობს. თუ მთავრობამ არაპოპულარული ღონისძიებები ძალის გამოყენებით არ განახორციელა, სოციალური მოტივით სერიოზული საპროტესტო აქციების დაწყებას პრინციპში გამოვრიცხავ.

ქართველებს, როგორც წესი, სოციალური თემატიკით საპროტესტო აქციაზე გამოსვლა არ გვახასიათებს. ეროვნულ ან სხვა თემაზე აქციაზე ხალხის გამოსვლა პრობლემა არ არის. ახლა ახალი კონსტიტუციის განხილვა მიმდინარეობს, იქ რომ ეწეროს, ქართული ენა აღარ იქნება სახელმწიფო ენა, ან რაიმე ქრისტიანობის საწინააღმდეგო, მთელი საქართველო ფეხზე დადგება. რუსეთის მოსახლეობისაგან განსხვავებით, ჩვენი მოსახლეობა სოციალური მოტივითა და ვთქვათ, პურის გაძვირების გამო, აქტიური არ არის.

**კობა ბენდელიანი**

## დევნილები

# „ჩვენი უბედურება ისაა, რომ ვერ გავერთიანდით!“

**... ზუგდიდში განსახლებული დევნილების მიერ მიცემული 10-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, ისინი ისევ მიადგნენ აფხაზეთის წარმომადგენლობას. როგორც ადრე ვწერდით, დევნილები ითხოვდნენ კობა სუბელიანისა და გია ბარამიას ზუგდიდში ჩამოსვლას და დევნილებთან შეხვედრას.**

მათ ისევ ამ აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელი თორნიკე კილანავა შეხვდა, რომელმაც იმედები გაუცრუა დევნილებს. მისი თქმით, გია ბარამია ჩამოსული იყო სამეგრელოში, შეხვდა წალენჯიხასა და ჩხოროწყუში განთავსებულ დევნილებს და ზუგდიდისთვის ვერ მოიცალა, ხოლო რაც შეეხება კობა სუბელიანს, მასთან დევნილებს კრიტიკული დამოკიდებულება აქვს და ვერც ზუგდიდში ჩამოსვლას „უბრძანებენ“.

იმედგაცრუებული დევნილები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ძალის დემონსტრირების გარეშე მათ არაფერი გამოუვიდოდათ. „ჩვენი უბედურება ისაა, რომ ვერ გავერთიანდით და ხელისუფლებას სათანადო პასუხი ვერ ვაგებინეთ. ამიტომაც დავდივართ ასეთი გაუბედურებულები... ამას ვამბობ მე, ხელისუფლების წარმომადგენელი“ — მითხრა ამ წარმომადგენლობის ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

— „მართალია, სანამ ძალას არ ვაჩვენებთ ჩვენს ხელისუფლებას და ვიდრე პრეზიდენტის გასაგონად და დასანახად არ ჩავატარებთ საპროტესტო აქციას, ნებისმიერი შეხვედრა წყლის ნაყვა იქნება“ — აღნიშნეს დევნილებმა.

ხელისუფლებისა და დევნილების თვალსაზრისი კი დაემთხვა — ერთმანეთს, მაგრამ ვერ გაარკვიეს, თუ ვისგან უნდა წამოსულიყო ინიციატივა — დევნილები ხელისუფლებისგან ითხოვდნენ აქტიურობას და გვერდში ამოდგომას; ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრით კი თვით დევნილებმა უნდა გამოიჩინონ ინიციატივა, რასაც ხელისუფლების ადექვატური მოქმედება მოჰყვება.

ასე რომ, მოსალოდნელია ხელისუფლებისა და დევნილების ერთობლივი საპროტესტო აქცია ზუგდიდში.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდიდან.**

## ინფორმაცია

### გვიჩივის ისრაელის სამშენებლო კომპანია

**ისრაელის სამშენებლო კომპანია „აშტრომ ინტერნეიშენალმა“ თელ-ავივის საოლქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა და საქართველოსგან იმ გარანტიების კონფისკაციის შეჩერებას მოითხოვს, რომელიც ისრაელის მხარემ 2008 წელს სახელმწიფო ფონდ „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მისცა.**

**„აშტრომ ინტერნეიშენალმა“ სასამართლოს წარუდგინა „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოსთან“ კონფლიქტის თავისი ვერსია, სადაც აღნიშნულია, რომ სამცხე-ჯავახეთში სამუშაოების დაწყების შემდეგ ქართული მხარის მიერ წარმოდგენილი საპროექტო ნახაზები და გაანგარიშებები შესრულებული იყო „დაბალ დონეზე“ და შეიცავდა მრავალ უზუსტობას.**

**ძირითადი პრობლემა ეხებოდა, ავტომაგისტრალის ერთ-ერთ მონაკვეთს, რომელიც მჭიდროდ დასახლებულ მთლიან ადგილას უნდა გაეყვანათ.**

**ისრაელის მხარის განცხადებით, არაერთი მიმართვის მიუხედავად, ფონდმა უარი განაცხადა გადაეხედა საპროექტო გაანგარიშებებისათვის. პარალელურად ქართულმა მხარემ კომპანიას აღნიშნულ პროექტში წილი 65 მლნ. აშშ დოლარიდან 45 მლნ აშშ დოლარამდე შეუმცირა.**

**კომპანიის წარმომადგენელთა მტკიცებით, ფონდის ხელმძღვანელობის ქმედებები ძალისმეირი და მუქარის შემცველელი იყო. კონფლიქტის მიზეზად კომპანია თავისი წილის სხვისთვის გადაცემის სურვილს უკავშირებს.**

**13 აგვისტოს კი ფონდმა „აშტრომს„ კონტრაქტის ანულირების შესახებ ოფიციალურად განუცხადა და „ეს მოხდა იმის მიუხედავად, რომ კომპანიამ დაკვეთა 90 %-ით უკვე შეასრულა, რომლის ღირებულებამაც 40 მლნ. დოლარი შეადგინა“, — აცხადებენ კომპანიაში და განმარტავენ რომ აღნიშნულის მიუხედავად „აშტრომმა“ შესრულებული სამუშაოებისათვის გაწეული თანხიდან საქართველოს მთავრობისგან მხოლოდ 85 %-ი - 37,5 მლნ. აშშ დოლარი მიიღო.**



**„ათასწლეულის გამოწვევა საქართველომ“ აგვისტოს ბოლოს „აშტრომს„ შეტყობინება გაუგზავნა და აცნობა, რომ განზრახული აქვს მოახდინოს საბანკო გარანტიების კონფისკაცია, რომელიც პროექტის რეალიზაციისათვის იყო წარდგენილი და ასევე მოახდინოს კომპანიის კუთვნილი ტექნიკისა და მოწყობილობების გამოყენება საკუთარი შეხედულებისამებრ.**

**შეგახსენებთ, რომ სამცხე-ჯავახეთში გზების რეაბილიტაციის პროექტი, ათასწლეულის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და პროექტის მთლიანი ღირებულებაა 203 მილიონ 515 ათასი აშშ დოლარი.**

### ინფლაციის დონემ 2,3 პროცენტი შეადგინა

**2010 წლის აგვისტოში წინა თვესთან შედარებით საქართველოში ინფლაციის დონემ 2,3 პროცენტი შეადგინა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ინფლაციის მაჩვენებელი წინა წლის აგვისტოსთან შედარებით 9,5 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

„ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაში ისინი იღებდნენ ნაძირლებს და აძლევდნენ ძალაუფლებას, რათა მათ უსიტყვოდ შეესრულებინათ ნებისმიერი დავალება“



# გავერთიანდეთ!

## გადავარჩინოთ სამშობლო - ავაშენოთ სახელმწიფო!

### „მოვუწოდებ ჩემს მხარდამჭერებს გაერთიანებას ჩვენი პარტიის – „მთლიანი საქართველოს“ ირგვლივ

ხალხი, რომელიც იმსახურებს სახელმწიფოს შექმნას უეჭველად აღწევს ამას. საგარეო დაბრკოლებები ისეთი მნიშვნელოვანი არაა, როგორიც შიდა. ციხესიმაგრე ყოველთვის შიგნიდან ტყდება, და ამის მაგალითები, ჩვენ უამრავი გაგვაჩნია, როგორც დღესაც. შიდა პრობლემების მოგვარებაა გადამწყვეტი, რამდენადაც რთული არ უნდა იყოს.

სრულყოფილი სახელმწიფოს შექმნისას მთავარია თვით ხალხის ბუნებრივი მიზანი. სახელმწიფოს შექმნას სჭირდება საკმაო რაოდენობის სულიერად მაღალი და თავდადებული ადამიანები. აგრეთვე, უეჭველად ფართო საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის მაღალი შეგნება სახელმწიფოებრივი იდეალით – სამშობლოს იდეალით. ამისათვის საჭიროა პირადი ცხოვრების გარკვეული პირობების დათმობა და მათ შორის მატერიალური ინტერესების.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოსთვის აუცილებელია გარკვეული გეოგრაფიული ტერიტორია, რომელთანაც ხალხი ისტორიულადაა დაკავშირებული ზნეობრივი ტრადიციებით. **და ბოლოს, სახელმწიფოს შექმნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი: ხალხის მიდრეკილება, მისწრაფება დასახული შემოქმედებითი საქმისაკენ. თუ ერს არა აქვს განვითარებული სახელმწიფოებრივი აზროვნების თვისებები და უანგარო შემოქმედების უნარი, არაფერი გამოვა.** მას ყოველთვის ეყოლება ის სპეკულაციური მთავრობა და ის გარემო, რომელსაც ეთანხმება და ე.ი. იმსახურებს. ეს არის აქსიომა. მაგრამ, ნუთუ ჩვენ ვეთანხმებით დღევანდელ მდგომარეობას? თუ ვეთანხმებით – ვიმსახურებთ, და თანაც ყველა განურჩევლად.

ჩვენთვის უკვე გასაგებია ბევრი რამ. სამწუხაროდ, საზოგადოების, ინტელიგენციის უმრავლესობა გამოირჩევა პასიურობით, უდარდელობით, ეროვნული საქმის მიმართ სერიოზული დამოკიდებულების ეშინია, იგი სავსეა უფრო ფრაზიორობით, ვიდრე მოქმედებით და მათი ავტორიტეტული ხმა პრაქტიკულად არ ისმის. ამავე დროს, ისინი უკიდურესად პატივმოყვარენი არიან. ვის რად სჭირდება ასეთი პატივი, თუ სამშობლოს არ მოარგებ საკუთარ შესაძლებლობებს.

**ოპოზიციის სპექტრში** სუფევს პოლიტიკური შანტაჟის ატმოსფერო. ოპოზიცია ვერ გაერთიანდა, ყველა ეძებს რაიმე უპირატესობას და ერთმანეთის ნაკლს, რითიც ზოგიერთნი დაემსგავსა ქრონიკულ მოპოლიტიკანო მოძრაობას, რაც საზიფათოა ხალხის გაერთიანებისთვის. ვინც აშკარად გაიყიდა ხელისუფლების სასარგებლოდ უკვე გასაგებია. ამიტომ, დანარჩენი, მიუხედავად ცალკე უთანხმოებისა უნდა გაერთიანდეს, რადგან ერთმანეთის დაპირისპირება ხელს უწყობს ხელისუფლებას. პოლიტიკაში გარკვეული საგნობრივი კომპრომისი აუცილებელია, მით უმეტეს რეაქციული და რეპრესიული ხელისუფლების პირობებში, ეს არ არის ეროვნული გამაერთიანებელი პოლიტიკა, არადა ხალხი იბნევა, არა და თავი დაანებეთ პოლიტიკას. ხალხის განხეთქილება დაუშვებელია.

**საქმე ის არის,** რომ ყოველ ქვეყანაში, ტრადიციულად, ხალხის უმრავლესობა წყვეტს სახელმწიფოს ბედს. ასე იყო და ასე იქნება. ხალხი, ჩუმად თუ ხმამაღლა, ყველაფერს, რასაც ხედავს, აქცევს ყურადღებას და სულის სიღრმეში ყველაფერს გრძნობს და განიცდის. ამიტომაა, ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს ხალხს სიმართლე დაუმალოს. საჭიროა ხალხის ზნეობრივი გაერთიანება – ყოველი ჩვენგანის სამშობლოს საკეთილდღეოდ. ეს არის ურთულესი ამოცანა, რადგან რამდენიმეჯერ მოვტყუვდით. აწი ეს არ უნდა მოხდეს. დადგა ნამდვილი გაერთიანების ჟამი. დაჯერებული და რწმენით აღჭურვილი ხალხი საბოლოოდ ქმნის ისტორიას და აშენებს სახელმწიფოს.

**ჩვენ შეგვიძლია, სხვა ერებზე მეტი სიმართლე ვთქვათ ჩვენს თავზე.** გავბედოთ და ვთქვათ, რომ ბოლო ათეული წლების განმავლობაში, როგორც წესი, პოლიტიკა საქართველოში და ხელისუფლებაში მოსვლა მჭიდროდ იყო დაკავშირებული და გადახლართული საკუთრების, ქონების მიტაცებასთან, გადანაწილებასთან, მითვისებასთან, წართმევასთან. ეს უნდა დამთავრდეს. საქმიანი ინტელიგენცია ამას უნდა განერიდოს, რადგან არასამართლებრივი, მონური მოღვაწეობით ხელისუფლებასთან შეკრულნი სამშობლოს წირავენ. განთავისუფლდით, რაც გეკუთვნით – ვერავინ წაგართმევთ, თქვენს კუთვნილებას ყველა შემთხვევაში დაიბრუნებთ, სახელს კი ვერა, სხვისი კი არ შეგრჩებათ. ამოუდექით ხალხს გვერდში და გაერთიანდით მასთან.

ხელისუფლებას ჩვენი დარწმუნება უნდა იმაში, რომ სიცრუე არის ჭეშმარიტება. მთელი საქართველო სიცრუეზე აქვთ აგებული. სიცრუეა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ სახელმწიფოში. ეს არის ქვეყანა, რომელსაც ჰქვია საქართველო და არა სახელმწიფო, ციხეები და რეპრესიული აპარატი მათ მიაჩნიათ სახელმწიფოდ, რათა მონურად დაიმორჩილონ ხალხი და მართონ სახელმწიფოს წოდებებს ამოფარებულებმა. სიცრუეა, რომ ჩვენ გვყავს პარლამენტი, როგორც ხალხთა წარმომადგენელი ორგანო. პარლამენტი არ წარმოადგენს ხალხის ინტერესებს, თვითონ კი არის ნაკლებად ლეგიტიმური, როგორც არჩეული გაყალბებით და ძალადობით. სიცრუეა, რომ ჩვენ გვყავს სამართალდამცავი ორგანოები – პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო ან სახალხო დამცველი. ისინი ხალხს არ იცავენ და რეპრესიული აპარატებია, რომლებიც ცხოველური შიშის ქვეშ ასრულებენ მთავრობის უკანონო დავალებებს და ამით თვითონ სჩადიან დანაშაულს „ცხონებული“ ჩვენგან ამოღებული ფულით. ვინმეს თუ გაუგია მათ მიერ დაცული ადამიანი? სად არის აქ სახელმწიფო? **აქ არის კრიმინალური დაჯგუფება, რომლის ნამდვილი სახელია – ხუნტა.** ამ ხუნტას ზემოთხსენებული ოფიციალური ზონდერების გარდა, როგორც ჰიტლერს და ყოველ ხუნტას ჰყავს, არაოფიციალურად „დაკანონებული“ ყველაფრის მაქნისი ბანდა. **ისტორიული მაგალითიდან. ჰიტლერის პროპაგანდის მინისტრმა იოზეფ გებელსმა განაცხადა, რომ ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაში ისინი იღებდნენ ნაძირლებს და აძლევდნენ ძალაუფლებას, რათა მათ უსიტყვოდ შეესრულებინათ ნებისმიერი დავალება.**

**რა არის ხუნტის ამოცანა?** მისი ამოცანაა, მოსპოს ხალხის აზროვნება, ადათ-წესები, ტრადიცია, ეროვნული მეხსიერება. მისი ამოცანაა, უსაზღვროდ დაიმორჩილოს ხალხი, გახადოს იგი რობოტებად და პირველ რიგში, სახელმწიფო ორგანოებად წოდებული პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო და ამ რობოტებად ქცეულთა მეშვეობით, ვითომდაც კანონიერად მართოს ქვეყანა. რა არის ხუნტის მიზანი? ნუ ეძებთ რაიმე იდეას. ხუნტის მიზანია, პირადი გამდიდრება, კარგი ცხოვრება, დროს ტარება ქვეყნის და ხალხის ხარჯზე. ცოტა ფულს თავის პირად რობოტებსაც უყრიან, რათა ისინიც იყვნენ გასვრილნი.

- **ძვირფასო ხალხო!** დამიჯერეთ, ჩვენ არა გვაქვს სახელმწიფო ნამდვილი გაგებით, ეს არის მოჩვენება. სახელმწიფოში ოდნავ მაინც უნდა მოქმედებდეს კანონი. საქართველოში კი მოქმედებს მხოლოდ უკანონობა და ძალადობა. ჩვენ არავინ არა ვართ დაცული. ჩვენ ვცხოვრობთ ხუნტის მიერ მართულ ქვეყანაში. ჩვენ წაგვართვეს ქვეყანა, ჩვენ წაგვართვეს სამშობლო და ანგრევენ ყოველდღიურად.
- **თუ შენ უდანაშაულო ადამიანებს განზრახ ათავსებ ციხეში, შენ რა სახელმწიფო ხარ?**
- **თუ შენ განზრახ არამიზნობრივად ხარჯავ, იტაცებ ქვეყნის ბიუჯეტს, შენ რა სახელმწიფო ხარ?**
- **თუ შენ განზრახ უკანონოდართმევ საკუთრებას ხალხს და აყაჩაღებ შენსვე ბიზნესმენებს, შენ რა სახელმწიფო ხარ?**
- **თუ შენ აღიარებულად კარგავ ქვეყნის ტერიტორიებს, შენ რა სახელმწიფო ხარ?**
- **თუ შენ მასწავლებლებს, მეცნიერებს, ექიმებს აგდებ გარეთ, შენ რა სახელმწიფო ხარ?**
- **თუ შენი მოქალაქეები გარბიან ქვეყნიდან რეპრესიების გამო, შენ რა სახელმწიფო ხარ? შენ რა სახელმწიფოს მთავრობა ხარ? შენ ხარ იუდა, კაენი და კრიმინალი.**

ჩვენ გვყავს კრიმინალური ხელისუფლება და მე ამას ვადასტურებ, როგორც იურიდიულად ასევე ფაქტობრივად, რადგან 2 წლის განმავლობაში გავიარე ამ კრიმინალების სისტემა და პირადად ვიხილე ყველაფერი. რომელი პრეზიდენტი, მინისტრი, პროკურორი ან მოსამართლე საქვეყნოდ დამიდგება მე – ვერც ერთი. ამიტომ, ტყვედ ჩამკეტეს ციხეში პოლიტიკური მოტივით.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეკონომიკა არის კატასტროფულ მდგომარეობაში. ეკონომიკურად ჩვენ ვართ გაყიდული ქვეყანა. **ჩვენი საგარეო ვალი გადასცდა 8 მილიარდ დოლარს.** ჩვენ ვზივართ ამერიკის კრედიტ-ნემსზე, თუ ნემს მოაშორებენ, ლარი ქაღალდად გადაიქცევა. რეალური ინვესტიციები ქვეყანაში არ შემოდის და ამათ ხელში არც შემოვა. ვინ ჩადებს ფულს რეპრესიულ ქვეყანაში, სადაც არავითარი გარანტიები არ არსებობს. ფინანსური სისტემა პრაქტიკულად დგას არა უანგარო უცხო ქვეყნების *„პოდაჩკებზე“*. ქვეყნის სათავეში გვყავს ძალაუფლების მქონე გაუნათლებელი ეკონომისტები.

პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება და სახელმწიფოს აშენება მძლავრი ეკონომიკის გარეშე – სიცრუეა, თავის მოტყუებაა. ამას სჭირდება საფუძვლიანი მომზადება, ჩვენ კი დრო დავკარგეთ, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური სისტემა დღემდე ვერ შევქმენით, და ამ მთავრობის ხელში ვერც შევქმნით, ვინაიდან ეკონომიკას, ინვესტიციებს, ფულის მოზიდვას, და საქმეს სჭირდება ნდობა, მარტივი და ხანგრძლივი ეკონომიკური ბიზნეს-კანონები და წესები. საქმიან ხალხს პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ, ამის მაგივრად მათ ყოველდღიურად ვაყაჩაღებთ. **საქართველოში სუფევს ვიწრო კლანური მძარცველი ბიზნეს-ეკონომიკა, ამით კი შორს ვერ წავალთ.** რეალური ინვესტიციების გარეშე ჩვენ ვერ გავძლებთ. უმუშევრობას ვერ შევაჩერებთ. მარტო საზღვარგარეთ მყოფი შეძლებული ქართველები გარანტიების შემთხვევაში სიამოვნებით ჩადებდნენ ფულს თავის სამშობლოში. **სტატისტიკის თანახმად, საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენთა კაპიტალის რაოდენობა შეადგენს 60 მილიარდ დოლარს, რომლის სისტემური და უინფლაციო ინვესტირება საქართველოში ყოველმხრივ შესაძლებელია, მაგრამ დღევანდელ ზონდერ-ხელისუფლებას სურს არა ინვესტირება, არამედ თავის ხელში ჩაგდება, პირადი გაკონტროლება. ასე კი ეკონომიკა არ შენდება.** უფრო მეტიც, ამ ხელისუფლებას ეშინია და არ უნდა თავისუფალი ფულის შემოსვლა საქართველოში, რათა ხალხს არ მიეცეს ამოსუნთქვის საშუალება და ხმა არ აიმაღლოს. მაპატიეთ ამ სიტყვებისათვის, მაგრამ ვერ მოვძებნე სხვას: **ქვეყანას მართავენ გაუმაძღარი ჟუჟუნთელიანი მშიშარა ტურები, რომლებიც ფიქრობენ მარტო თავისი ძალაუფლების შენარჩუნებაზე, დღე და ღამე ქანქალებენ ძალაუფლების დაკარგვაზე. ამ ცხოველური შიშით მოქმედებენ და ფიქრობენ: „წაიღოს ქვეყანა, ოღონდ ჩვენ დავრჩეთ ხელისუფლებაში“.** ვერ დარჩებით და ვერ გადაურჩებით ხალხის სიმწარეს. გონს მოდით ბატონებო! ვერც ახალაიები გადაგარჩენენ – პირიქით. მოშორდით ხალხს დროზე! არა და ვერავინ გიშველით.

**მაგრამ, ვისი ბრალია ეს უზნეობა და უკიდურესობა?** საშინელებაა სიცრუე, მაგრამ უფრო საშინელებაა, როცა ჩვენ ხმას ვერ ვიღებთ ამაზე, ვუყურებთ ერთმანეთს. უმეტესობა პასუხობს, სხვებმა მოუარონო. ვინ სხვებმა? ბევრი ასე ფიქრობს და სხვების იმედით უცდის სასწაულს, რომ ყველაფერი თავისთავად მოგვარდება. ვერ მოგვარდება! მრავალი თავს არიდებს ხელისუფლებას, რადგან ფიქრობს როგორმე შეინარჩუნოს მოპოვებული „სიმდიდრე“ თუნდაც პატარა და არ ესმის, რომ ამით, ფაქტიურად, მხარს უჭერს ძალადობას, ღალატობს სამშობლოს, თავისი შვილების მომავალს და ღირსებას. მათ არ უძგერთ თავისი გული სამშობლოს ჭეშმარიტებისათვის. ზოგი ფიქრობს – არ დავკარგო ლუკმა-პური. სიმართლეს თუ მხარს დავუჭერ – გამაგდებენ სამუშაოდან ან წამართმევენ ჯიხურს, დუქანს. მათზე კი არ უფიქრიათ, ვისაც ლუკმა-პური საერთოდ არა აქვთ, არც დუქანი და არც სახლ-კარი. **საზოგადოებას სჭირდება სულიერი თვითგანწმენდა.**

ამავე დროს, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სხვისი სათხოვარი არაფერი გვაქვს. ჩვენ ყველაფერი გაგვაჩნია, გვჭირდება მხოლოდ ამოქმედება: საწარმოების აშენება, მრეწველობის განვითარება, ჩვენი დალოცვილი მიწა-წყლის ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენება, ქართული დიასპორის დაბრუნება, რეალური ინვესტიციები (ფულის მოზიდვაძ და ეკონომიკური აღორძინება. ამას სჭირდება მხოლოდ კანონიერება, პატიოსანი შრომა და საქმე. მაგრამ ამის უფლებას არ იძლევა დღევანდელი ხელისუფლება და ვერც შეძლებს.

დღევანდელმა ხელისუფლებამ ამოწურა თავისი რესურსი და იხანგრძლივებს არსებობას ჩვენი შიშის ქვეშ მოქცევით და განცალკევებით. პოლიტიკურ ბრძოლას ვერ უძლებს, ბოროტი ძალადობით უკავია დამპალი სავარძელი, ხალხის გაერთიანებისა ეშინია. **ამიტომ ჩვენ პატიოსნები, კეთილები, მამულიშვილები, პატრიოტები, ჩვენს წინაპართა ღირსების სახელით შევიკრიბოთ ერთად, რათა დავძლიოთ ბოროტება.**

**გავერთიანდეთ! გადავარჩინოთ სამშობლო – ავაშენოთ ნამდვილი სახელმწიფო.** სამშობლოზე ზრუნვა ჩვენი უშუალო მოვალეობაა და არავის აქვს უფლება გვერდზე გადგეს. და თუ ამ მოქალაქეობრივ მოვალეობას ვერ შევასრულებთ, მარტო წუხილით და წუწუნით ვერაფერს მივაღწევთ, ვერც დღეს და ვერც ხვალ. ამაო საუბრით ნუ ვძრახავთ ერთმანეთს. სამშობლოს სიყვარული, როგორც ღმერთის რწმენა, საქმის გარეშე მკვდარია. შიში და გულგრილობა კი ადამიანის უზნეობის ყველაზე მახინჯი გამოვლენაა. აწი საქმე ასე არ წავა. ჩვენ გვჭირდება ზნეობრივი გაერთიანება და არა მექანიკური. ყველას მოეკითხება და პირველ რიგში, ვინც სდუმს და მხარს უჭერს ხუნტას. მოდის დრო – ყველაფერს დაერქმევა თავისი სახელი, ყველას მოეხსნება ნიღაბი. ამავე დროს, ნუ ავყვებით შურისძიებას – ეს დამღუპველია.

- ჩვენს მიერ დასმულ ამოცანებს მაშინ შევასრულებთ და მოვუვლით, როცა:
- ჩვენს უმაღლეს ზნეობად სამშობლოს სამსახურს მივიჩნევთ;
- ჩვენში ფესვგადგმულ შიშსა და გულგრილობას ამოვძირკვავთ;
- ჩვენს ნათქვამს თავადვე დავადასტურებთ საქმით.

**მოვუწოდებ ჩემს მხარდამჭერებს გაერთიანებას ჩვენი პარტიის – „მთლიანი საქართველოს“ ირგვლივ.** ჩვენ არა ვართ ოპოზიციური პარტია, ჩვენ ვართ **პოზიტიური** პარტია და მზად ვართ, ვითანამშრომლოთ და გავერთიანდეთ ყველა პოზიტიურ ძალასთან.

ჩვენ გავიმარჯვებთ. **ჭეშმარიტება ყველაფერზე იმარჯვებს.**

**ვლადიმერ ვახანია,**
პოლიტიკური პარტია „მთლიანი საქართველოს“ ლიდერი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, პოლიტპატიმარი

მკვახე შეძახილი

# ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს შენი მიშა, მაგრამ...

**ახლახან გაზეთ „ასავალ-დასავალში“ მსახიობი, ვინმე ქეთი ფარცვანია თავგადაკლული გვიმტკიცებდა, მიშა გაგიჟებამდე მიყვარს და მის სიყვარულს ვერავინ დამიშლისო. კი ალმომხდა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს-მეთქი, მაგრამ ერთი რამ ცუდად მენიშნა. ეს რომ ვინმე უბირს, გაუნათლებელს, თუნდაც ქკუანაკლულს ეთქვა, კიდევ ჯანდაბას. დღეს ძნელად თუ იპოვი ისეთებს, მიშაზე მზე რომ ამოდიოდეს. აი, ხელოვნების მუშაკი, მსახიობი, მხატვარი, მწერალი, თუ ვინც იქნება, ეშმაკს რომ სულს მიჰყიდის, ეს უბედურებაა.**



სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამ ქაბატო თუ საქაბატე (ქალბატონი თუ საქალბატონე უნებლიედ შემომეთარგმნაძ ქეთი ფარცვანიას შემოქმედებას მე არ ვიცნობ, მაგრამ როგორც ქალი, საინტერესოა, რითი მოხიბლა იგი პრეზიდენტმა. აი, ამან კი ძალიან დამაინტერესა. ქალებს ხომ ოდითგანვე კაცის რაინდული ქცევები, შემართება და ვაჟკაცობა აჯადოებდა, ჰოდა, ამ ქაბატომ, თუ საქაბატემ მიშაშიც იქნებ რაიმე მსგავსი ამაღლებული აღმოაჩინა. მაშ რა უნდა ვიფიქროთ, როგორ შეიძლება გიყვარდეს პრეზიდენტი, რომლის ხელდასხმით საკუთარ ხალხს, ერთხელ უკვე ლტოლვილს და ცხოვრებადაკარგულს, პოლიციელი მიუსიო და იმ ბუდრუგანიდან აწიოკებული გამოყარო, სადაც პირუტყვსაც არ დაედგომება? როგორ შეიძლება დედა ძუძუთა ბავშვით ქუჩაში გამოაგდო, პატარებს დაერიო და ააწიოკო? ნათქვამია, ბავშვებს ძაღლიც არ შეუყეფსო. სააკაშვილ-მერაბიშვილის პოლიცია ხომ დაუნდობელია, უსიხლო და უსულგულო, თორემ მე მახსოვს 1956 წლის 9 მარტს, შემდეგ 9 აპრილს ქართული მილიცია საკუთარი სიცოცხლის ფასად როგორ ეფარებოდა სასიკვდილოდ გამეტებულ მომიტინგეებს.

ან გარემოვაჭრეები. მათი საცოდაობით ადამიანს გული დაგეწვება. ამ გაუსაძლის სიცხეში რომ ლუკმა პურისათვის ქუჩაში დგას, რათა პატარები შიმშილისგან იხსნან, მიდგე და მიუსიო პოლიციელები, განა ამას ნორმალური პრეზიდენტი გააკეთებდა?! ჰოდა, მასზე ასე საჯაროდ განაცხადო, მიშა მიყვარსო...

მარტო ეგ მსახიობი ქეთი რომ იყოს, კიდევ ჰო. უფრო ადრე ერთმა თუ ორმა მსახიობმა, ლამაზმანმა მოდელმა, კიდევ სხვებმა საჯაროდ გამოუცხადეს პრეზიდენტს სიყვარული. გაზეთში იმიტომ აცხადებენ, იქნებ მიშამ წაიკითხოსო, მაგრამ მიშა ხომ გაზეთს არ კითხულობს? ესენი კი მაინც რიგში დგებიან.

ახლახან წავიკითხე, თელავის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მრავალშვილიან დედას შიმშილისგან ორი შვილი მოუკვდაო. იქნებ, თქვენც მოჰკარით ყური ამ ამბავს, ქაბატო ქეთი, განა შეიძლება ასეთი ქვეყნის პრეზიდენტი, მთავრობა იწამო? მიშაზე შეყვარებულო ხელოვნების მუშაკნო, დედაენას რომ გვიკარგავენ, როგორ მოგწონთ? აბა დაიარეთ ნებისმიერი ქალაქის ქუჩები, ქართულ წარწერებს თუ იპოვით. სკოლებში მშობლიური ენა და ისტორია ხომ დააკნინეს. უნივერსიტეტში რა ამბავი ტრიალებს. სოროსელები ყველგან თავიანთ საბუდარს იმზადებენ და კიდევ... ამ ერთი ციცქნა ქვეყანაში, რომელიც დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას, 30 ათასზე მეტი ადამიანი ციხეებში ჯოჯოხეთურ წამებაშია. ერეკლე მეფეს ამ რაოდენობის ჯარი რომ ჰყოლოდა, სპარსეთსაც აიღებდა. სააკაშვილი შეიძლება უყვარდეს პუტინს, მედვედევს, საქართველოს ნებისმიერ მტერს, გადამთიელს, მაგრამ...

**გივი ჯახუა**

წლები

# დამსახურებული მიძღვნა



**80 წელი შესრულდა ცნობილი არქეოლოგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ალექსანდრე (ბიჭიკო) რამიშვილის დაბადებიდან (1930 – 2008 წწ.). სწორედ მის ხსოვნას მიეძღვნა ახლახან გამოსული „ხაშურის მუზეუმის მოამბე. I“, რაც საგანგებო წარწერითაცაა ფიქსირებული.**

კრებულის გამომცემელია ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება (მმართველი რევაზ ნოზაძე, რედაქტორი – თამაზ ლაცაბიძე, რედაქტორის მოადგილე – მაყვალა ხაჩიძე, კომპიუტერული უზრუნველყოფა ლია ჯურხაძისაა. „მოამბის“ გამოქვეყნებაში გაწეული დიდი დახმარებისთვის გაერთიანების ხელმძღვანელობა მადლობას უხდის მამია ქველიძეს.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ალექსანდრე რამიშვილის




მკვლევრულ და პუბლიცისტურ კალამს ათეულობით სამეცნიერო და პოპულარული ხასიათის ნაშრომი და რეცენზია ეკუთვნის. მემორიალურ კრებულში პირველად ქვეყნდება „ალექსანდრე რამიშვილის შრომების ბიბლიოგრაფია“, სადაც 93 დასახელების ერთეულია თავმოყრილი.

ალექსანდრე რამიშვილს, როგორც ეს ჭეშმარიტ არქეოლოგს შეჰფერის, გათხრებით, ძიებითა და მოჩხრეკით მოვლილი ჰქონდა მთელი საქართველო. მის არქეოლოგიურ მუშაობაში ხაშურის გათხრებმა (ნაცარგორა, საციხური, წაღვლიძ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, რამდენადაც ერთობ წარმატებული გამოდგა. მადლიერმა ხაშურის მუზეუმმა და საერთოდ, საზოგადოებრიობამ კრებულის გამოცემითა და საიუბილეო სხდომის გამართვით მიაგო კიდევაც ჯეროვანი პატივი ბატონი ალექსანდრეს ნათელ ხსოვნას.

„დიდი მეგობარი და მეცნიერი“, „არა მარტო მეცნიერი“, „კაცი ქართული პატიოსნებით“, „პრინციპული და მომთხოვნი“, „ჩემი დიდი მასწავლებელი“ – ასეა დასათაურებული წერილები განსვენებულზე და აქედანაც კარგად ჩანს, თუ ვინ იყო ალექსანდრე რამიშვილი კოლეგებისთვის, მოწაფეებისთვის, მეგობრებისთვის: „საქმის ერთგულებით, შინაგანი წესიერებით, პრინციპულობითა და კეთილშობილებით წარუშლელი კვალი დატოვა თანამედროვეთა შორის“ (პროფესორი რამინ რამიშვილიძ. „ალ. რამიშვილი შესანიშნავი საველე მუშაკი იყო, მცირე თანხებით ფართო არქეოლოგიურ გათხრებს ატარებდა, არც თვითონ ისვენებდა და არც სხვას ასვენებდა“ (პროფესორი გიორგი დუნდუაძ. „ბატონ ალექსანდრეს ახასიათებდა გამორჩეული ერთგულება იმ საქმის მიმართ, რომელსაც იგი მთელი ცხოვრება ემსახურებოდა. შეიძლება ითქვას, რომ მისი სიყვარული და ერთგულება ძეგლისადმი და საერთოდ, საქმისადმი, თითქმის ოჯახის სიყვარულს უტოლდებოდა. ის იყო მკვლევარი, რომელიც არ იღლებოდა... შესაშურად შრომისმოყვარე, საქმისადმი პასუხისმგებლობით აღსავსე, ერთნაირი გულისხმიერებითა და ხშირად პედანტური წესიერებით ასრულებდა ნებისმიერი მნიშვნელობისა და სირთულის სამუშაოს, როგორც სამეცნიერო კვლევას, ისე მარტივ აღწერასა თუ პრეპარაციას“ (პროფესორი მარინე ფუთურიძძ.

ვფიქრობთ, ამ ფრაგმენტული ციტირებითაც ნათლად წარმოჩნდა ალექსანდრე რამიშვილის – არქეოლოგის, ქართული მიწის მოღაღადე სიძველეთა დაუღალავი მაძიებლის, მშობლიური წიაღის საიდუმლოებათა მარჯვე გამშიფრავის სახე.

... ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოწყობილ შეკრებას, რომელიც განსვენებულის დაბადების 80 წლის თავს მიეძღვნა, თბილისიდანაც არაერთი სტუმარი დაესწრო – ბატონი ალექსანდრეს კოლეგები, მეგობრები, თანამშრომლები, მოწაფეები. მოწვეული იყო მისი ოჯახიც – ცხოვრების ერთგული თანამგზავრი, ქალბატონი ნანა და ვაჟიშვილები ლევანი და გიორგი.

კრებულის გამოცემითა და საიუბილეო საღამოს გამართვით ხაშურის მუზეუმმა ღირსეული მოღვაწისა და პიროვნების ხსოვნის დაფასების ჩინებული მაგალითი მოგვცა.

... ბიჭიკო რამიშვილს სტუდენტობის წლებიდან ვიცნობდი და პატივს ვცემდი. შემდგომ მოხდა ისე, რომ ნაცნობობას მეზობლობა და ახლო ურთიერთობა მოჰყვა... მოხარული ვარ, რომ კრებულში ჩემი პატარა მოგონებაც შევიდა და ამრიგად შევძელი ამ დაუვიწყარი კაცისადმი პატივისცემის მცირედ გამოხატვა...

**თამაზ ებანოიძე.**

ხელოვნება

# „კოლხური ტრიო“ 35 წლისაა

**35 წელი შესრულდა, რაც მსმენელსა და ხალხურ სიმღერას შორის შუამავლად მოგვევლინა რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების არაერთგზის ლაურეატი, სენაკის რევაზ ლაღიძის სახელობის პრიზისა და ოქროს მედლების მფლობელი, საქართველოს სახალხო ანსამბლი „კოლხური ტრიო“.** მას, როგორც წარმატებულ ფოლკლორულ ანსამბლს, იცნობენ საქართველოს ფარგლებს გარეთაც: რუსეთში, ბულგარეთში, ლატვიაში, ლიტვაში, ესტონეთში...

არგონავტების მიერ განვლილი გზით საქართველოში ჩამოსულმა მკვლევარმა ტიმ სევერინმა „კოლხური ტრიოს“ სიმღერები რომ მოისმინა, თქვა: „სწორედ თქვენს სიმღერებში იმალება ერთ-ერთი საიდუმლოება კოლხეთის მარადიულობისა... აი, ეს არის საგანძური ქართველი ერისა“, ხოლო ცნობილმა რუსმა კომპოზიტორმა სერაფიმ ტულიკოვმა აღფრთოვანება ვერ დამალა. „საოცრებაა, ღმერთო საოცრება, „კოლხური ტრიოს“ სიმღერაში რაღაც ზეციურია, ნამდვილად ზეციური“.

არსებობის 35 წლის მანძილზე „კოლხურმა ტრიომ“ უამრავი კონცერტი გამართა და მის მომხიბლავ ქართულ ჰანგებს არაერთი მსმენელი მოუჯადოებია. მათი მოსმენის ბედნიერებას ყველა ერთნაირად განიცდის და ასე მგონია ცოდვაა პიროვნება, რომელსაც მისთვის არ მოუსმენია.

ტეხურის ნაპირებიდან ამღერებულმა ქალბატონებმა დონარა მიმინოშვილმა (სამწუხაროდ, სულ ახლახან ის უკურნებელი სენით გარდაიცვალაძ, ბექა ქადამაძემ და დარეჯან ფაჩულიამ საქართველოს ფარგლებს გარეთ გაიტანეს მშობლიური სენაკის სახელი.

თვალსაჩინოა და ყურადსაღები „ხალხური ტრიოს“ წვლილი უძველესი მეგრული სიმღერების აღდგენა-პოპულარიზაციის საქმეში. ისინი ღირსეულად აგრძელებენ ქართული ხალხური სამუსიკო ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებს და, ამასთან, თავდადებით ემსახურებიან ხელოვნების ამ დარგში მომავალი თაობის აღზრდისა და ჩამოყალიბების მამულიშვილურ საქმეს.

„კოლხურ ტრიოს“ ვულოცავთ 35 წლის იუბილეს, მათთან ერთად ამ თარიღს ვულოცავთ იმ ადამიანებსაც, ვინც წვლილი შეიტანა მისი პოპულარიზაციის საქმეში.

**იოსებ გოგეჩია,**
**„სრ“ საკ. კორ.**
**ქ. სენაკი.**

ინფორმაცია

## თურმე ჩვენთან ბოევიკებს ამზადებენ

**რუსეთის შს სამინისტრო აცხადებს, რომ მათ ხელთ არსებული ინფორმაციით საქართველოს ტერიტორიაზე ბოევიკების მომზადების სპეციალური ბანაკები შეიქმნა. განცხადება ამის შესახებ ჩრდილო-კავკასიის ფედერალური ოლქის რუსეთის შს სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ გენერალ-მაიორმა ნიკოლაი სიმაკოვმა გააკეთა.**

**– „ძალიან შესამჩნევი გახდა, ბოლო დროს საქართველოს გააქტიურება. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილია სპეციალური ბანაკები, სადაც ბოევიკებს ამზადებენ – განაცხადა სიმაკოვმა გაზეთ „ვრემია ნოვოსტეისთან“ საუბარში.**

**მისივე თქმით, ბანაკებში აგროვებენ წარმომადგენლებს ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკებიდან, – „როგორც წესი სისხლის სამართლის საქმეთა დამნაშავეებს ან იმ ადამიანებს, რომლებიც მართლმსაჯულებას ევროპულ სახელმწიფოებში ემალებიან. ამბობენ, რომ მათი მოხვედრა საქართველოში მოსაზღვრე ქვეყნების გავლით ხდება“, – აცხადებს სიმაკოვი.**

## სათვისტომოს ხელმძღვანელს შინაპატიმრობა მიუსაჯეს

**რუსმა სამართალდამცავებმა მოსკოვის ოსური სათვისტომოს ხელმძღვანელი ვალერი კაბოლოვი დააკავეს და მას შინაპატიმრობა მიუსაჯეს. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.**

**– „მოსკოვის ტვერის სასამართლომ მოსკოვის ოსური სათვისტომოს ხელმძღვანელს ვალერი კაბოლოვს შინაპატიმრობა მიუსაჯა. გამოძიების სარჩელი კაბოლოვის დაპატიმრების შესახებ სასამართლოში პარასკევს შევიდა, თუმცა სასამართლომ შესაძლებლად მიიჩნია კაბოლოვისათვის შინაპატიმრობა მიესაჯა“, – აცხადებს სასამართლოს პრესსამსახურის ხელმძღვანელი ალექსანდრა ბერზინა.**

ХО-ЕИБ-ЕНИ

**შვილიშვილის სარჩელი**

იური მუხინი

# ასამართლებენ სტალინს

ღირდა კი ეს იმად, რომ წასულიყავი სასამართლოში და იქ გებრძოლა? მიმაჩნია, რომ თქვენს გამო ღირდა.

რაც შეეხება განაჩენს, ერთი მხრივ, ჯერ არ დაღამებულა, მეორე მხრივ კი – რა დიდი ღირსება იქნებოდა სტალინისთვის, ბასმანის სასამართლო რომ გამოქომაგებოდა მის ღირსებას? რამდენად სასიამოვნო იქნება პატიოსანი კაცისთვის, მასზე თუ კარგის ლაპარაკს დაიწყებს არამზადა? მოპასუხეებს რისთვის უნდა ეკოცნათ ბასმანის სასამართლოსთვის ყველა ადგილზე ასეთი გადაწყვეტილების გამო, მაგრამ რადიო „თავისუფლებამ“ მაინც გვაცნობა: *„ნოვაია გაზეტას“ ადვოკატმა ალექსი ბინეცკიმ ირონიით აღნიშნა, რომ პირველად უკანასკნელი წლების მანძილზე ბასმანის სასამართლომ, რომელიც ცნობილია თავისი არცთუ დიდად ობიექტური განაჩენებით, მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება“.* აბა როგორ, ბასმანის სასამართლომ სპეციალურად სტალინისთვის გადაწყვიტა გახდეს სამართლიანი. ამ ბინეცკის შეუძლია გახუმრება, გონზე მოუსვლელადაც.

და თუ დავუშვებთ კავშირებითი კილოს გადახრას – დაეთანხმებოდა სტალინი მისულიყო სასამართლოზე? თავისი ხალხის სასამართლოზე – უსიტყვოდ! დარწმუნებული ვარ, მის დროს რომ მომწიფებულიყო იდეა – ხალხის სასამართლოს შესახებ – ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლების ორგანოებზე, სტალინი დაუყოვნებლივ დანერგავდა ასეთ სასამართლოს. ხოლო სტალინი გამოცხადდებოდა ბასმანის რაიონულ სასამართლოში? – იკითხავთ თქვენ. ეს სტალინზე არ იქნებოდა დამოკიდებული – ამისთვის ბასმანის რაიონული სასამართლო ჯერ უნდა გამხდარიყო სასამართლო.

ამას გარდა, ხალხმა სტალინი გამოსცადა ყველაზე ძნელითი სასამართლოთი 1941-1945 წლებში, როდესაც მას აცდუნებდნენ ისევ თავისიანი, საკუთარი არამზადები ელალატა სტალინისთვის, როდესაც ხალხს ხელში ჰქონდა ყველაზე თანამედროვე იარაღი. მაგრამ მაშინაც არ აჯანყებულა ხალხი და არ დაამხო ბოლშევიკები სტალინთან ერთად. კიდევ რა განაჩენია საჭირო? ნუთუ „ამ ქვეყანაში“ მცხოვრებ იმ გარეწართა ხროვის განაჩენი, ვინც ფლობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, თავისი ინტელექტუალური და ადამიანური არსით მთლიანად, ერთად აღებული რომ არ ღირს ფურთხადაც კი ასფალტზე სტალინის ფეხებთან?

მე ვიტყობინებოდი ამ რეპორტაჟის წინა სტატიაში იმის შესახებ, რომ ჩემი განცხადებით ვთხოვდი სასამართლოს: „პატივცემულო სასამართლოვ! გთხოვთ ჰკითხოთ მოპასუხეებს, რომელ წელს შევიდნენ ისინი სკკპ-ში, და რომელ წელს გაყიდეს მათ სკკპ? თუ მისცეს მათ მხედრული ფიცი სსრ კავშირს, და რომელ წელს უღალატეს ამ ფიცს?“ მაგრამ სანამ გავაგრძელებდე ამ თემას, პრეამბულის სახით ვიტყვი, რომ შემიძლია დავეთანხმო – გავყო ხალხი ელიტად და არამზადებად, თანაც, ჩემი აზრით, ხალხი თავადაც ყოფს თავის თავს ელიტად და არამზადებად სრულიად თავისუფლად. თუ კაცს აწუხებს საზოგადოების, სახელმწიფოს ან ორგანიზაციის გლობალური პრობლემები, თუ ის ცდილობს მათს გადაწყვეტას – ეს საზოგადოების, სახელმწიფოს, ორგანიზაციის ელიტაა. სჭირდება თუ არა იგი ამ საზოგადოებას, სახელმწიფოს ან ორგანიზაციას – ეს მეორე საკითხია. შესაბამისად, არამზადას აწუხებს მხოლოდ კითხვა, როგორ ხეთქოს და იჯირითოს. არამზადასაც შეუძლია ილაპარაკოს გლობალურ თემებზე, მაგრამ ესეც არამზადებისთვის გართობის სახეობაა სამუშაოსა და ჭამას შორის. ელიტა იმისთვის, რომ იმსჯელოს თემაზე, ეძებს და ღებულობს ინფორმაციის მთელ მოცულობას, გულდასმით განიხილავს თავის აზრს, არამზადა კი ერთობა იმის წამოყრანტალებით, თუ რა დაიზეპირა, ან რაც თავში მოუვა. შედეგად ელიტისა და არამზადების აზრი ერთსა და იმავე საკითხზე არ არის აუცილებელი, რომ ერთმანეთს ემთხვეოდეს. მაგალითად, წინა სამუშაოს განხილვაში კომენტატორის ასეთი ცნობა წავიკითხე:

*„ზოგჯერ მიწევს ხოლმე აღვნიშნო ჩემი სკოლის მეგობრის დაბადების დღე საუნაში, რომელსაც ის ამისთვის ქირაობს. იქ იკრიბებიან საშუალო შესაძლებლობის მეწარმეები. მაგრამ ერთხანს მოდიოდა ხოლმე ნამდვილი მილიონერი, თანაც ამერიკელი. მას ჯეიმსი ერქვა. რუსულად უაქცენტოდ ლაპარაკობდა. ავიაკოსმოსური ბიზნესით იყო დაკავებული, კერძოდ, კოსმოსური ტურისტების გაფრენით ჩვენს ხომალდებზე, აგრეთვე აქ, იაკოვლევის საკონსტრუქტორო ბიუროში გამანადგურებელ 2 მვ-ის ასლების წარმოებით. და ერთხელ გაჩაღდა არყით შემაგრებული დავა სტალინზე. და ძალიან გაოცებული დავრჩი, რომ მარტო არ დავრჩენილვარ იოსებ სტალინის მხარეზე. მხარი დამიჭირა ჯეიმსმა. მან თქვა, რომ ესაუბრა*




*დევიდს (როკფელერსძ სტალინის შესახებ, და მან გამოხატა დიდი პატივისცემა მისდამი, როგორც ეკონომისტისადმი, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწისადმი. თანაც ეს აზრი გავრცელებულია ამერიკის ბიზნესის უმაღლეს წრეებში. ისინი ჯეიმსთან ერთად მივიდნენ საერთო დასკვნამდე, რომ უსტალინოდ რუსეთი აღარ იქნებოდა უკვე 50 წლისათვის, შეიძლება 40 წლისათვისაც. მას ჯერ გერმანელები გადაუვლიდნენ, შემდეგ ამერიკელები. მეტი არაფერი. რასაკვირველია, ასეთი გულღიაობა შესაძლებელია მხოლოდ ვიწრო წრეში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ეს ვერ აღწევს“.*

მაგრამ არამზადას სტალინთან დამოკიდებულებაში აქვს თავისი აზრი. თავისუფლება თავისუფლებაა, მათ შორის ტვინთან დაკავშირებითაც.

აი, მაგალითად, ადვოკატმა, რეზნიკმა განაცხადა, რომ ის არასოდეს ყოფილა სკკპ წევრი! მისი გუნდის დანარჩენმა შვიდმა წევრმა მორცხვად დახარა თავი.

მაგრამ მე რეზნიკი კი არ მაკვირვებს, არამედ უფრო მეტად გულს მიჩუყებს იგი თავისი უუნარობით – გაიჩეროს თავში გათიშული ფაქტები, ასეთი დიდი მნიშვნელობა რომ აქვთ ამ ვითარებისთვის. მიაჩნიათ, რომ ებრაელებს აქვთ შესანიშნავი მეხსიერება და აზროვნების სწრაფი უნარი, შესაძლებლობა სწრაფად გამოძებნონ საჭირო ფაქტი, ამიტომ კარგ ადვოკატებად მიიჩნევიან. მაგრამ რეზნიკი ან მთლიანად ჩაეფლო ლიბერალურ საარამზადოში, ან ის ებრაელი არ არის, მაგრამ ის როგორღაც ვერ ერკვეოდა, თუ რა ფაქტები იყო კიდევ ამ ვითარების განხილვის დროს.

ცოტა წინ მინდა გავიხედო. კამათში რეზნიკმა ამაყად განაცხადა: *„ამიტომ, თქვენო ღირსებავ, ამჟამად ამ პროცესს ნამდვილად აქვს იდეური შეფერილობა, და ჩემს ზურგს უკან ამჟამად არიან მილიონობით უსამართლოდ მსჯავრდებულნი, დახვრეტილნი, საბანაკო მტვრად ქცეულნი“.* მესმის, რომ ციცერონად ყოფნას ვერავინ აუკრძალავს, მაგრამ ხომ უნდა დაფიქრდე, სანამ რაიმეს ლამაზად წამოაყრანტალებ. ასეთი რამ რომ ეთქვა ვინმე „მემორიალელს“, რომელიც ბავშვობიდან დასავლეთის მიერ გადმოყრილ ლუკმებზე იზრდება და ამიტომ არის იდეური თანამოაზრე სტალინისდროინდელი რეპრესირებულებისა, კიდევ ჰო. მართლაც, რეპრესირებულებიც ხომ ისწრაფვოდნენ ეცხოვრათ დასავლეთის ნასუფრალზე, თუმცა ყველას ისე კარგად არ გამოუვიდა, როგორც „მემორიალს“, მაგრამ მაინც...

აი ასეთი მაგალითი. 1934 წელს ვინმე ნიკოლაევმა ტყვიით მოკლა ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის ხელმძღვანელი, სკპ(ბ)ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ს.მ. კიროვი. როდესაც ეს მკვლელობა ჩაიფიქრა, ნიკოლაევმა დაიწყო გერმანულ კონსულთან სიარული, სთავაზობდა მას თავის სამსახურს და დაიწყო მისგან „დახმარების“ მიღება გერმანული მარკების სახით, რომლებსაც ხარჯავდა ვალუტის მაღაზიებში (მაშინ გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ ნიკოლაევმა მოკლა კიროვი და აზრადაც არ მოდიოდნენ, თუ ვინ დაიბევა იგი. ნებართვაც არ უთხოვია, მისგან, უმალვე ფინეთში გადაიპარაძ. მაგრამ გერმანია – ეს სახელმწიფოა, და ის, რომ ნიკოლაევი დაიბევეს ჯაშუშად გერმანელებთან, ბუნებრივი ამბავია. მაგრამ ნიკოლაევს არ დაზარებია მისულიყო ლატვიის საკონსულოში და იქაც მიელო „დახმარება“. ზედგამოჭრილი დისიდენტი – სამართალდამცველია! ამიტომ „მემორიალელების“ ნათქვამს, ვისაც სულაც არა რცხვენიათ „დახმარების“ მიღება პოლონელებისგან, ასეთი სახე თანადროული იყო – „ჩვენს ზურგს უკან ამჟამად მილიონობით გრანტიჭამია თანდათანობით უსამართლოდ გადაიქცა საბანაკო მტვრად, ჩვენ კი დღემდე თავისუფლები ვართ!“

მაგრამ რეზნიკი სსრ კავშირში მუშაობდა პროკურატურაში ხრუშჩოვის რეპრესიების ორგანოებში, თანაც მხოლოდ ოთხი წელი მუშაობდა გამომძიებლად. მაშ, როგორ შეიძლება მის ზურგს უკან იყვნენ მილიონობით უსამართლოდ მსჯავრდებულნი 4 წლის განმავლობაში? დიდი – დიდი – ორი ათეული.

თანაც რეზნიკი სასამართლოს სხდომებზე გვასწავლიდა ჩვენ, გაუნათლებლებს, რომ რეაბილიტაცია ხდება მხოლოდ უსამართლოდ მსჯავრდებულებისა, დამნაშავეებისთვის ხდება ამნისტია. დაფიქრებულიყო მაინც, რას აკეთებდნენ „მემორიალთან“ ერთად? ის რეპრესირებულები, რომლებიც თქვენ ჯოგად ჩაწერეთ უდანაშაულოებში, ავლენდნენ გმირობას საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში, მიდიოდნენ რისკზე, მაგრამ იბრძოდნენ. თქვენ კი რად გადააქციეთ ისინი უკლებლივ ყველა რეაბილიტაციით? უგუნური და უნებისყოფო უსამართლო შერეკილებად, რომლებმაც შიშით ცილი დასწამეს თავიანთ თავს, ნათესავებსა და ამხანაგებს? რა, მათს პორტრეტებს თქვენი სახით წერთ?

პრიმაკოვმა, სამოქალაქო ომის გმირმა, კავალერისტმა, ესე იგი ბუნებით არა მხოლოდ მამაცმა, არამედ მეტად თავდადებულმა მებრძოლმაც, თურმე, იმის შიშით, რომ ჯოხით სცემდნენ, შინსახკომში ცილი დასწამა თავის თავსაც, ტუხაჩევსკისაც და რამდენიმე ათეულ თანამებრძოლსაც სამშობლოს ღალატსა და შეთქმულებაში. დაე, ტუხაჩევსკი სამხედრო თვალსაზრისით ნამდვილი ნაგავიც იყო, მაგრამ ის ხომ მარშალი იყო! თქვენ მას წარმოგვიჩენთ მშიშარა ინსტიტუტელ გოგონად, რომელმაც ერთსაათიანი დაკითხვის შემდეგ დაიწყო ცილისწამება თავის თავზე და ამხანაგებზე. და ამის შემდეგ აცხადებთ, რომ წითელი არმია ამ მხდალებით მოიგებდა ომს 1941 წელს?!

ესენი არიან ყველა ჩვენი შინნაზარდი ანტისტალინისტები – დაე, მისცეს მათ უცხოეთმა ყველაფერი და უფრო მეტიც, რომ მათ გააკეთონ საქმე, ისინი კი დაკისრებულ საქმეს, სულ ერთია, მაინც ჩააფლავებენ.

ახლა ვთქვათ სკკპ წევრობაზეც. აი, გამოაცხადა რეზნიკმა, რომ ის არ ყოფილა სკკპ წევრი, აი, ყოჩაღ – დაჯექი, ხუთიანი! მან კი დაიწყო თავისი გუნდის გამოსარჩლება იმ საკითხის გამოძიებით, აიო, ისინი გმირები არიან პარტიაში რომ შევიდნენ, რათა იგი შიგნიდან აეფეთქებინათო. მაგრამ ხომ აშკარად ცხადია, რომ თემის ასეთი შემობრუნებით ჩნდება შეკითხვა: რატომ მოხდა, რომ მისი – რუსეთის ებრაელთა კონგრესის პრეზიდიუმის წევრის, ასეთი მენტალიტეტის პატრონის ერთადერთი შვილი გახდა მართლმადიდებელი მღვდელი? უნდა ემსახუროს უფალს თუ ააფეთქოს შიგნიდან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია?

ვფიქრობ, განსჯა სასამართლოსა და გამყიდველობაზე გვეყოფა, გადავიდეთ კატინის თემაზე.

## კატინის საქმე

როგორც უკვე ვახსენე, 9 ოქტომბრის პარასკევ საღამოს შეიქმნა უცნაური სიტუაცია. მოპასუხეები მოსამზადებელ სტადიაში და პროცესის დასაწყისში თხოვდნენ სასამართლოს გამოითხოვოს არქივიდან, თუმცა არა ყველა, მაგრამ სულ ოთხი დოკუმენტი ეგრეთ წოდებული №1 პაკეტიდან, რომელიც, თითქოს, ადასტურებს, რომ სტალინმა და პოლიტბიურომ 1940 წლის გაზაფხულზე გასცეს ბრძანება – დაეხვრიტათ ტყვე პოლონელი ოფიცრები. სასასამრთლომ მათ უარი უთხრა, რაც, ჩემი აზრით, იყო თამაში, რომელიც წინასწარ იყო მოპასუხეებთან შეთანხმებული. მაგრამ მოპასუხეებისთვის „სტალინის ეს ბრძანება დაეხვრიტათ პოლონელები“, იყო ერთადერთი ვითარება, რომელიც ადასტურებდა სტალინის სისხლისმსმელობას. თითქოს, მოპასუხეებს პრობლემები აღარ უნდა ჰქონოდათ – ეს „დოკუმენტები“, დიდი ხანია, გამოქვეყნებულია და მოპასუხეებს უსათუოდ ექნებოდათ მათი ასლები, ამიტომ სასამართლოსთვის მათი წარდგენა შეეძლოთ ამ სახით. მაგრამ დრო გადიოდა, მოპასუხეები კი არც აპირებდნენ ამის გაკეთებას. და პარასკევ საღამოს ჩვენ დავიწყეთ მათი შევიწროება მათივე შეკითხვებით – წარმოადგენენ თუ არა ისინი ამ დოკუმენტებს, თუ შესთავაზებენ სასამართლოს, მიიღოს გადაწყვეტილება უამდოკუმენტებოდ? ისინი უხეშად გვეუბნებოდნენ უარს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაზე პირდაპირ, დაიწყეს ლაპარაკი, რომ ეს დოკუმენტები გამოქვეყნებულია, საყოველთაოდაა ცნობილი და თავად მოსამართლესაც კი შეუძლია შევიდეს ნებისმიერ ბიბლიოთეკაში და ნახოს ისინი იქ, და არა თავის მაგიდაზე. გასაგები გახდა, რომ მოპასუხეებს არა თუ ეშინიათ ამ ყალბი მასალების განხილვისა, მათ ეშინიათ მათი აქ მოტანისაც.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 155-166.

ფეხბურთი



# იმედის ქულა

**როცა „ევრო – 2012“-ის შესარჩევი ტურნირის კალენდარი გამოქვეყნდა, იმედი გამოვთქვით, რომ ჯგუფური რაუნდის სტარტზე ერთ-ერთ ფავორიტ საბერძნეთთან შეხვედრა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ნავსის გატეხვაში დაეხმარებოდა.**

აქამდე ეს გუნდები ხუთჯერ გადაეყარნენ ერთმანეთს და ყველა ბრძოლა ელადელებმა მოიგეს. ამ უსიამოვნო ტრადიციას როდესმე ხომ უნდა დასმოდა წერტილი?

ოპტიმისტური ვარაუდის გამოთქმის საფუძველს წლევანდელ მუნდიალზე ჩვენი მეტოქის განცდილი ფიასკო, მის შემადგენლობაში დაწყებული თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი და მწვრთნელის შეცვლა გვაძლევდა.

მაგრამ ეს სათქმელადაა ადვილი, თორემ როგორი ძნელი შესასრულებელია, ჭეშმარიტ გულშემატკივარს კარგად მოეხსენება, მით უმეტეს პირეოსის სტადიონზე, რომლის აუდიტორიასაც თემურ ქეცბაიასთან ძველი ანგარიშები აქვს გასასწორებელი. შეგახსენებთ, რომ იქაური „ოლიმპიაკოსის“ ხანმოკლე კოზიაშვილთან ერთად საუკეთესო იყო პარტნიორთა შორის.

რაც შეეხება სასიამოვნო მოსაგონარს, ანგარიში დებიუტშივე გახსნა უზერებელმა იაშვილმა, რომელმაც ჩვეულ სტილში დააგვირგვინა თანაგუნდელთა ელვისებური კონტრიერიში. სხვათა შორის, მატჩის მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ ბოლო წუთზე ანანიძემ მასპინძელთა მეკარესთან დუელი წააგო.

**გაუწყებთ სასტარტო რაუნდის სრულ შედეგებს.**

**I ჯგუფი.** ბელგია – გერმანია 0:1, ყაზახეთი – თურქეთი 0:3.

**დღეს ითამაშებენ:** გერმანია – აზერბაიჯანი, ავსტრია – ყაზახეთი, თურქეთი – ბელგია.

**II ჯგუფი.** სომხეთი – ირლანდია 0:1, სლოვაკეთი – მაკედონია 1:0, ანდორა – რუსეთი 0:2.

**დღეს ითამაშებენ:** რუსეთი – სლოვაკეთი, ირლანდია – ანდორა, მაკედონია – სომხეთი.

**III ჯგუფი.** ესტონეთი – იტალია 1:2, სლოვენია – ჩრდილოეთ ირლანდია 0:1, ფარერები – სერბეთი 0:3.

**დღეს ითამაშებენ:** სერბეთი – სლოვენია, იტალია – ფარერები.



მწვრთნელობისას ჩვენმა თანამემამულემ ამბიციური კლუბი დაუმარცხებლად, გოლის გაუშვებლად გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, მაგრამ რატომღაც აითვალწუნეს და კარისკენ მიუთითეს. ესეც დამატებითი მოტივაცია იყო ახალგაზრდა სპეციალისტისთვის.

ვერ ვიტყვით, რომ „ქეცბა“ ჯოხის ჯადოსნური აქნევით ბიჭებს ცისკენ მიაქანებს, მაგრამ ფაქტია, რომ მისი თავკაცობით გამართულ ოთხ მატჩში შეგირდებმა წაგების გემო დაივიწყეს და, რაც მთავარია, თითოეული გოჯისთვის თავდაუზოგავად იბრძვიან.

მნიშვნელოვან სიახლედ უნდა მივიჩნიოთ კალაძის გადაყვანა დაცვის ცენტრიდან მარცხენა ფლანგზე, თუმცა არც იმის უთქმელობა ეგება, რომ „ჯვაროსანთა“ კაპიტანს აქაც უჭირს უნაკლოდ თამაში, რაც სათამაშო პრაქტიკის დეფიციტს უნდა მივაწეროთ. საილუსტრაციოდ ვიტყვით, რომ ძირითადი საფრთხე რევიშვილის კართან სწორედ აღნიშნული პოზიციიდან იქმნებოდა, ხოლო ყველაფერი სპიროპულოსის საპასუხო გოლით დასრულდა. დასანანია, რომ ამ ეპიზოდში ერთადერთი შეცდომა ბურთის მოგერიებისას ასათიანმა დაუშვა, რომელიც გოგუასთან და

**IV ჯგუფი.** საფრანგეთი – ბელარუსი 0:1, რუმინეთი – ალბანეთი 1:1, ლუქსემბურგი – ბოსნია 0:3.

**დღეს ითამაშებენ:** ბოსნია – საფრანგეთი, ბელარუსი – რუმინეთი, ალბანეთი – ლუქსემბურგი.

**V ჯგუფი.** შვედეთი – უნგრეთი 2:0, სან-მარინო – ჰოლანდია 0:5, მოლდოვა – ფინეთი 2:0.

**დღეს ითამაშებენ:** ჰოლანდია – ფინეთი, უნგრეთი – მოლდოვა, შვედეთი – სან-მარინო.

**VI ჯგუფი.** საბერძნეთი – საქართველო 1:1, ლატვია – ხორვატეთი 0:3, ისრაელი – მალტა 3:1.

**დღეს ითამაშებენ:** საქართველო – ისრაელი, ხორვატეთი – საბერძნეთი, მალტა – ლატვია.

**VII ჯგუფი.** ინგლისი – ბულგარეთი 4:0, ჩერნოგორია – უელსი 1:0.

**დღეს ითამაშებენ:** შვეიცარია – ინგლისი, ბულგარეთი – ჩერნოგორია.

**VIII ჯგუფი.** პორტუგალია – კვიპროსი 4:4, ისლანდია – ნორვეგია 1:2.

**დღეს ითამაშებენ:** დანია – ისლანდია, ნორვეგია – პორტუგალია.

**IX ჯგუფი.** ლიხტენშტეინი – ესპანეთი 0:4, ლიტვა – შოტლანდია 0:0.

**დღეს ითამაშებენ:** ჩეხეთი – ლიტვა, შოტლანდია – ლიხტენშტეინი.

მუნდიალ – 2010

# სენსაციების მოლოდინში



**თურქეთში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის დასრულებისთანავე ვივარაუდეთ, რომ ნაღდი საკალათბურთო სპექტაკლები პლეი-ოფებიდან დაიწყებოდა. ეს პროგნოზი სასტარტო მერვედფინალურმა მატჩებმა დაადასტურა.**

**სერბეთი – ხორვატეთი 73:72**

როგორ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ კონდიციებშიც არ უნდა იმყოფებოდნენ ბალკანური დერბის მონაწილენი, ერთმანეთთან შეხვედრაში ისინი რაღაც დამატებით იმპულსს იძენენ და უშეღავათო ბრძოლაში არც საკუთარ თავს ზოგავენ და არც მეტოქეს.

ასე მოხდა ამჯერადაც – ტრავმირებული ლიდერის პლანინიჩის არყოფნის მიუხედავად ხორვატები მეღგრად შეებნენ გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტს და თვალსასეირო დუელი უკანასკნელ წამზე კუსის მიერ დაშვებული საბედისწერო შეცდომის შედეგად დათმეს. იგი ფარქვეშ შეჭრილ სერბთაგან საუკეთესოს (კრსტიჩთან ერთად) რაშიჩს ეუხეშა და ამ უკანასკნელმაც ზუსტად შესრულებული საჯარიმო ტყორცნით პარტნიორებს მძიმე გამარჯვება მოუტანა.

რაც შეეხება დამარცხებულებს, მათგან უკანახაზელები პოპოვიჩი და უკიჩი გამოირჩეოდნენ, თუმცა მათი ძალისხმევა წარმატების მოსაპოვებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

**ესპანეთი – საბერძნეთი 80:72**

ელადელებს უკვე კარგა ხანია არ მოუგიათ მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონებისთვის. ლიტველი მწვრთნელის იონას კაზლაუსკასის თავმოყვარეობაშელახულმა შეგირდებმა რევანშის ასაღებად ყველაფერი იღონეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, საამისოდ არც არასპორტული ნაბიჯის გადადგმა ითაკილეს. მათივე აღიარებით, შეგნებულად დათმეს ჯგუფური ტურნირის დასკვნითი მატჩი რუსებთან, რათა მეტოქედ პირენეელები რგებოდათ.

რამდენად სწორი გამოდგა ბერძენთა სტრატეგიული გათვლა, ტაბლოდანაც კარგად სჩანს, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ზისისმა, სპანულისმა, დიამანტიდისმა, შორცანიდისმა და ფოცისმა ისე ძარღვიანად ითამაშეს, რომ კინაღამ დაამსხვრიეს მატჩისწინა პროგნოზები.

სერხიო სკარიოლოს გუნდის გიგანტებმა გაზოლმა, რეიესმა და ვასკესმა პირწმინდად დათმეს სამწამიან ზონაში ბრძოლა და მდგომარეობის გამოსწორება პერიმეტრიდან სცადეს, რაც გამართლებული აღმოჩნდა – გარბახოსამ, ლულმა, მუმბრუმ და ლოპესმა სამქულიანებით დასეტყვეს მოწინააღმდეგის კალათი, შეხვედრის გმირი – ნავარო კი, რომელმაც პირველი ეტაპის დასკვნით მატჩში დაისვენა, შეუდარებელი გახლდათ როგორც შორეული, ისე საშუალო დისტანციებიდან ტყორცნებისას.

ასეა თუ ისე, იმძლავრეს როგორც სერბებმა, ისე ესპანელებმა, მათი დამდეგი მეოთხედფინალური ბრძოლა კი, დარწმუნებულნი ვართ, ოსმალური ფორუმის მშვენება გახდება.

**სლოვენია – ავსტრალია 87:50, თურქეთი – საფრანგეთი 71:45.**

კალათბურთი

# სამართალმა პური ჭამა

**თურმე, რა ტყუილად ვნერვიულობდით. კალათბურთელთა ეროვნულ ნაკრებზე მოგახსენებთ, რომელიც „ევრო – 2011-“ის ფინალური ეტაპის მიღმა დარჩა, არადა, მთელი შესარჩევი ტურნირი მშვენივრად წარმართა და სანუკვარი მიზნის მიღწევამდე მცირედი დააკლდა.**

მხსნელად გადამწყვეტი რაუნდის მასპინძელი ქვეყნის – ლიტვის კალათბურთის ფედერაცია მოგვევლინა, რომელმაც თხოვნით მიმართა ფიბა-ს, მომავალი ფორუმის მონაწილეთა რაოდენობა თექვსმეტიდან ოცდაოთხამდე გაზრდილიყო. ევროპული კალათბურთის მმართველმა ორგანომ გაითვალისწინა ბალტიისპირელთა პოზიცია და სტამბოლში გამართულ ფიბას კონგრესზე, მისი აღმასკომის მიერ მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებით, „ჯვაროსანთა“ გარდა, იტალიელთა, უკრაინელთა, ბულგარელთა, ლატვიელთა, ბოსნიელთა და პოლონელთა მადლი მოისხა, ხოლო კიდევ ორი საგზურისთვის საკვალიფიკაციო ჯგუფების მაჩანჩალები – ფინეთი, უნგრეთი და პორტუგალია იბრძოლებენ.

ფიბა-ს აღმასკომის სხდომის დასრულებისთანავე კომენტარი ევროპული კალათბურთის მამებმა გააკეთეს.

**ნარ ზანოლინი, ფიბა-ს პრეზიდენტი:** ამ ვერდიქტით მნიშვნელოვნად შეეწყობა ხელი ევროპული კალათბურთის განვითარებას. თურქეთში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ათი ევროპული გუნდიდან პლეი-ოფში ცხრამ გააღწია (გერმანიის გარდა), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენ სწორი გზით მივდივართ.



**ოლაფურ რაფნსონი, ფიბა – ევროპის თავკაცი:** ალბათ, იცით, რომ ფინალური ეტაპის მონაწილეთა რაოდენობის გაზრდას 2013 წლიდან ვაპირებდით, ახლა კი სიახლის ადრეულადვე დანერგვის საშუალება მოგვეცა და ამით ვისარგებლეთ კიდეც. ამჟამად ევროპული კალათბურთი ისე ძლიერია, როგორც არასდროს, ასე რომ, მისი განვითარება არ უნდა შევაჩეროთ.

ბუნებრივია, მოულოდნელი საჩუქრით აღტაცებული გახლდათ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი,** რომელიც პირადად დაესწრო ისტორიულ სხდომას. სწორედ მან გვაუწყა, რომ ევრო – 2011-ის ფინალური ეტაპის კენჭისყრა გაისად იანვარში მოეწყობა.

თაობა

# შანსი კიდევ გვრჩება

**მას შემდეგ, რაც 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის (ფინალური ეტაპი დანიაში გაიმართება) შესარჩევი ტურნირის I წრეში თურქებს ზესტაფონში შავი დღე ვაყარეთ – 4:0, ოთარ გაბელიას გუნდის ამბიციები სავსებით საფუძვლიანი გახდა.**

აქედან მოყოლებული, ახალგაზრდა „ჯვაროსნები“ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევენ სანუკვარი მიზნის მისაღწევად და, რომ არა შინ დაკარგული რამდენიმე დასანანი ქულა, უკვე თანატოლთა საგაისო ფორუმის დასკვნითი ბატალიების საგზურის მოპოვებას მივულოცავდით.



ალბათ, ბედის ირონიაა, რომ ყოფნა-არყოფნის მატჩი იმ ოსმალებთან მოგვიხდა, რომლებიც სასტიკი რევანშით გვემუქრებოდნენ, თანაც მათსავე სამშობლოში – ქალაქ საქარიაში.

ჩვენს თანამემამულეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წარმატებით გაართვეს თავი ურთულეს ამოცანას და უმძაფრეს ბრძოლაში მრისხანე მეტოქე კიდევ ერთხელ დაამარცხეს – 1:0 (გოლი საკუთარ კარში ქემიშალმა გაიტანა).

დღეს 19 საათზე ვაკის სტადიონზე დაიწყება უკანასკნელი ტურის შეხვედრა სომხებთან და, წარმატების შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია, მომავალ წელს ვიკინგების ქვეყანას ვეწვიოთ, ოღონდ საამისოდ სხვა ჯგუფებში ჩვენთვის სასურველი შედეგები უნდა გამოცხვეს.

**შვეიცარია – ირლანდია 1:0.**

ალპური სახელმწიფოს ქვეშევრდომებმა ვადამდე გაინაღდეს პირველი ადგილი.

**ჭადრაკი**

# პაიკიძემ დედოფლობა დაიმშვენა



**სანკტ-პეტერბურგში მოჭადრაკე ქალთა რუსეთის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატი დამთავრდა. შეჯიბრებაში მასპინძლებთან ერთად ორი უცხოელიც მონაწილეობდა – სერბეთში გათხოვილი მარია მანაკოვა და ქართველი დიდოსტატი ნაზი პაიკიძე, რომელმაც ორიოდე თვის წინათ მოსკოვის ჩემპიონობა მოიპოვა.**

პაიკიძემ რუსეთის ჩემპიონატშიც იყოჩაღა – ბოლო ტურში ტატიანა შადრინას დაუზავდა, 9 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩნენ შადრინა და მარინა რომანკოს მძლეველი ოლგა გირია, რომლებმაც მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს. 6-6 ქულით მეოთხე-მეექვსე ადგილები სვეტლანა მატვეევამ, ელენა ზაიაცმა და ვერა ნებოლსინამ გაიყვეს. ამ ექვსეულიდან 5 საუკეთესო რუსეთის ქალთა მე-60 ჩემპიონატის სუპერტურნირში ითამაშებს.

# შემადგენლობები გაირკვა



**რუსულ ხანტი-მანსიისკში 19 სექტემბრიდან მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა დაიწყება. შეჯიბრებაში საქართველოს ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდებიც ითამაშებენ. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ შემადგენლობები დაამტკიცა.** ქალთა ნაკრების ღირსებას დაიცავენ ნანა ძაგნიძე (ფოტოზე), ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია, ნინო ხურციძე და ბელა ხოტენაშვილი, კაპიტანია ნინო გურიელი, მწვრთნელები – ზურაბ სტურუა და დავით არუთინიანი. ვაჟთა გუნდში ითამაშებენ ბაადურ ჯობავა, მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, თამაზ გელაშვილი, ლევან ფანცულაია, კაპიტანი – თამაზ გიორგაძე, მწვრთნელი – ხვიჩა სუპატაშვილი.

ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა და საჭადრაკო ოლიმპიადების ათგზის გამარჯვებულმა მაია ჩიბურდანიძემ გადაღლილობის გამო ხანტი-მანსიისკში გამგზავრებაზე უარი თქვა. დელეგაციას საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე უხელმძღვანელებს.

**რაგბი**

# „შავი ზღვა“ აჭარას ერგო



**თბილისში დამთავრდა „შავი ზღვის თასის“ პირველი გათამაშება, რომელშიც ექვსი გუნდი მონაწილეობდა. ქვეჯგუფებში გამართული ორთაბრძოლების შემდეგ ფინალში თამაშის უფლება „ლელომ“ და „ბათუმი XV“-მ მოიპოვეს. გადამწყვეტი პაექრობა დაძაბული გამოდგა და გამარჯვებულის ვინაობა შეხვედრის ბოლო წამებზე გაირკვა.**

ანგარიში ზღვისპირელებმა გახსნეს – ლელო სოსელიამ გაიტანა, ზუსტად გარდასახა კიკნაძემ – 7:0. ამ უკანასკნელმა საჯარიმოც უნაკლოდ შეასრულა. მასპინძლებმა ანგარიშში სხვაობის შემცირება 25-ე წუთზე მოახერხეს ყიასაშვილის საჯარიმოთი, რის შემდეგაც ლელოელები საკმაოდ გააქტიურდნენ. შესვენების შემდეგ მათ დაწინაურებაც შეძლეს – 18:13. ბათუმელებმა 76-ე წუთზე წონასწორობა აღადგინეს. საფინალო სასტვენამდე წამები რჩებოდა, კიკნაძემ 38 მეტრიდან გამარჯვების მომტანი (21:18) საჯარიმო რომ გაიტანა და თასს აჭარის დედაქალაქში მიუჩინა ადგილი. „ბრინჯაოსთვის“ ბრძოლაში ოდესის „კრედომ“ რუმინულ „არადის“ 17:12 მოუგო, მაგრამ რად გინდა – მატჩში დისკვალიფიცირებული მორაგბე ათამაშეს, რაც ტურნირის ორგანიზატორებს მხედველობიდან არ გამორჩათ და უკრაინელებს წაგება ჩაუთვალეს. მე-3 ადგილი „არადის“ ერგო. მე-5 ადგილზე „ლოკომოტივი“ გავიდა, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში „ბუქარესტს“ სძლია – 23:19.

**გივი გაგუა**

**მშვილდოსნობა**

# მეოთხე ადგილს დასჯერდნენ



**შანხაიმ მშვილდოსანთა მსოფლიოს თასის გათამაშების ბოლო ეტაპს უმასპინძლა. შეჯიბრებაში ქართველი მანდილოსნებიც (ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა, ასმათ დიასამიძე) მონაწილეობდნენ. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში განცდილი მარცხის შემდეგ ისინი წარმატებით გამოვიდნენ გუნდურ პაექრობაში.** სტარტზე ამერიკის გუნდი დაამარცხეს (216:211), რომლის შემადგენლობაშიც ხათუნა ქვრივიშვილი-ლორიგი ასპარეზობდა. მერე რუსეთის საკმაოდ ძლიერ გუნდს მოუგეს – 195:190, არადა, ჩრდილოელი მეზობლების სპორტულ ღირსებას საკმაოდ ცნობილი ჩუბინები – ნატალია ერდენევა და ქსენია პეროკა იცავდნენ. მომდევნო ორი ბარიერის გადალახვა კი ჩვენმა ქალებმა ვერ შეძლეს: ნახევარფინალში ჩინელებთან წააგეს – 202:213, „ბრინჯაოსთვის“ ბრძოლა კი ტაივანელებთან დათმეს – 206:219 და მეოთხე ადგილს დასჯერდნენ. მთავარი პრიზი კორეელებმა დაისაკუთრეს, რომლებმაც ფინალში მასპინძლებს სძლიეს 222:219. პირადი პირველობაც კორეელმა ბო ბაე კიმ მოიგო.

საგულისხმოა, რომ საქართველოს ქალთა ნაკრებმა წლეულს მარტში ევროპის ზამთრის ჩემპიონატზე მე-3 ადგილი დაიკავა. გადამწყვეტ შეხვედრაში ჩვენებმა გერმანელებს აჯობეს – 229:225.

ჩინური ბატალიებით ქართველმა ჩუბინებმა წლევანდელი სეზონი მოილიეს და ახლა საგაისოდ დაიწყებენ მზადებას.

**ლექსო ცინცაძე**

**ქართული ჭიდაობა**

# გოგოჭურმა „ვაჟაობაზე“ იფალავნა

**გასულ უქმეებზე ჩარგალში ტრადიციული დღესასწაული „ვაჟაობა“ გაიმართა. ზეიმში ფალავნებიც მონაწილეობდნენ. პირველობისთვის ბრძოლაში 18 მოჭიდავე ჩაება.** ნახევარფინალში ზვიად გოგოჭურმა გიორგი ციაშვილი დაამარცხა, პაატა ღვინიაშვილმა კი გიორგი ბაინდურაშვილს სძლია. გადამწყვეტ პაექრობაში გოგოჭურმა ქულებით აჯობა ღვინიაშვილს და პირველი ადგილი დაიკავა.

**ინტერნეტიდან**

## ძეგლი – ფეხბურთის მეფეს



**რეკონსტრუქციის შემდეგ მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს სტადიონ „მარაკანასთან“ დაიდგმება „ფეხბურთის მეფის“ – პელეს ძეგლი. ეს ინიციატივა მოდის ბრაზილიის მთავრობიდან სახელოვანი სპორტსმენის უკვდავსაყოფად. პელემ ხომ სწორედ აქ გამართა ქვეყნის ნაკრებთან გამოსათხოვარი მატჩი.**

პელე ერთადერთი ფეხბურთელია, რომელიც სამჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. მან ბრაზილიის ნაკრებთან ერთად პლანეტის ჩემპიონობა მოიპოვა 1958, 1962 და 1970 წლებში, ხოლო საკლუბო დონეზე მრავალგზის გახდა ბრაზილიის ჩემპიონი და თასის მფლობელი, აგრეთვე მოპოვებული ჰქონდა ლიბერტადორესისა და საკონტინენტთაშორისო თასები. ის გულშემატკივრებმა „ფეხბურთის მეფედ“ აღიარეს.

## სიკვდილი მოსახვევში

**„სან-მარინოს გრან-პრის“ გათამაშებისას დაიღუპა იაპონელი მოტომრბოლი, 19 წლის სიოია ტომიძავა. ის**



**ავარიაში მოყვა ავტოდრომ მიზანოზე. ძალზე დიდი სიჩქარით მიმავალმა ტომიძავამ საჭე ვერ დაიმორჩილა და გადმოვარდა თავისი „სუტერიდან“. მას გადაუარეს ალექს დე ანჯელისის და სკოტ რედინგის მანქანებმა. თავად მრბოლები კი მოტოციკლებიდან გადმოცვივდნენ, თუმცა სერიოზულად არ დაშავებულან.**

ავარიის მიუხედავად რბოლა გაგრძელდა და გაიმარჯვა ესპანელმა ტონი ელიასმა, თუმცა დაჯილდოება ტრადიციული შამპანურის გარეშე გაიმართა. როგორც მსოფლიო ჩემპიონმა ვალენტინო როსიმ განაცხადა, ტომიძავა იყო დიდებული ჭაბუკი.

## ფეხბურთელობაზე ოცნებობს



**სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, სამგზის მსოფლიო ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი 100 და 200 მეტრზე სირბილში უსეინ ბოლტი თურმე ოცნებობს დიდ ფეხბურთელობაზე. „მანჩესტერ იუნაიტედის“ 24 წლის თაყვანისმცემელს მიაჩნია, რომ ფეხბურთის მინდორზეც ისახელებდა თავს, როგორც მცველი ან თავდამსხმელი. ცოტა ადრე კი მან განაცხადა, რომ ძალების გამოცდა უნდა კრიკეტშიც. მართალია, ის ერთხელ მეტად არ უთამაშია, მაგრამ როგორც თავად ამბობს, მწვრთნელის მოწონება დაიმსახურა.**

თუმცა ახლა მისი ყურადღების ცენტრში მაინც სარბენი ბილიკებია. უსეინის მიზანია 100 მეტრის გარბენა 9,4 წამში. ბოლტი დარწმუნებულია, რომ ეს შედეგი წლების განმავლობაში სხვებისთვის მიუწვდომელი იქნება.

## სულ ფოტოსესიებზე?!

**სწორედ ეს შეიქნა ერთ-ერთი მიზეზი „გალათასარაის“ ალბანელი ფეხბურთელის ლორიკ კანისა და პრიშტინელი ლამაზმანის ზანა კრასნიკის განშორებისა.**

**2008 წელს კრასნიკმა მოიგო ეროვნული ტიტული „სამყარო – კოსოვოს დედოფალი“, რამაც მას საშუალება მისცა თავისი ქვეყანა წარედგინა კონკურსზე „სამყაროს დედოფალი“, სადაც მეხუთე ადგილი დაიკავა და უმალ მასზე დიდი მოთხოვნილება გაჩნდა მოდისა და სილამაზის სამყაროში.**

ლამაზმანი სულ უფრო მეტ დროს ატარებდა ფოტოსესიებზე, რომელთა უმეტესობა ოკეანისგაღმა იმართებოდა, ფეხბურთელი კი ევროპას ვერ სცდებოდა. ამან დიდი გავლენა მოახდინა კანზე და მალე ის ბრაზილიელ მოდელზე გადაერთო.

უნდა ითქვას, რომ ლორიკ კანი ყველაზე ცნობილი ალბანელი ფეხბურთელია. 2002 წელს ის საფრანგეთში გადავიდა. სადაც 69 მატჩი გამართა „პსჟ“-ს მაისურით. აქედან „მარსელში“ მოხვდა, მისი კაპიტანი გახდა და 122 მატჩში მონაწილეობდა, შემდეგ „სანდერლენდი“ დაამშვენა, ბოლოს კი „გალათასარაიში“ აღმოჩნდა.



დაიჯესტი

**როდესაც ბედნიერ მშობლებს უჩნდებათ ბავშვი, ნაცნობის პირველი შეკითხვაა – „ბიჭია თუ გოგო?“, მეორე კი აუცილებლად – „რა დაარქვით?“, და არა მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო. ჩვენ ინტუიციურად გვესმის, რა ბევრს ნიშნავს სახელი ადამიანის ცხოვრებაში. აი, ფსიქოლოგმა და მწერალმა ბორის ხიგირმა კი, ვინც 30 წელზე მეტია სწავლობს სახელის გავლენას ხასიათისა და ბედზე, ზუსტად იცის, თუ რომელი სახელის დარქმევა არ არის სწორი ახალშობილისთვის .**

# აფერისტს სახელი გასცემს

## ნუ დაარქმევთ ბავშვებს მამებისა და დაღუპული ნათესავების სახელებს



ბავშვს როგორ სახელსაც დაარქმევ, ისე წავა მისი ცხოვრებაც.

### ყველა ედიკი ერთმანეთს ჰგავს

**– ბატონო ბორის, რა სახელის მქონე ხალხია ყველაზე ბედნიერი, ჯანმრთელი, სექსუალური?**

– არაბედნიერი სახელები არ არსებობს. უბრალოდ, ეს სახელები ადამიანებზე სხვადასხვაგვარად მოქმედებენ. და ეს ყველაფერი ბევრად არის დამოკიდებული მამის სახელზე. დიმიტრის ძე, ნიკოლოზის ძე, სიმონის ძე, იგორის ძე, კონსტანტინეს ძე – გამოხატავს რთულ ხასიათს. ვთქვათ, ნიკოლოზ იგორის ძე – არც თუ ხელსაყრელი შეხამებაა. ეს ადამიანი, ალბათ, ფეთქებადი ხასიათისაა, ძნელია მას მოელაპარაკო. იდეალური ვარიანტია – ვლადიმერის ძე. ასეთი მამის სახელი ხელსაყრელია პრაქტიკულად ყველა სახელისთვის. მასთან იოლად მიაღწევ სასურველს. მეორე ადგილზეა სერგის ძე, მიხეილის ძე, პეტრეს ძე, პავლეს ძე. ჩემი დაკვირვებით, ბავშვობაში ხშირად ავადმყოფობენ ალექსანდრეები და ალექსეები, როგორც წესი, სიმსივნის დაავადებებით. ყველაზე სექსუალური სახელებია – ნატალია, ედუარდი, ვიქტორი, სერგო.

**– ამბობენ, რომ სახელები, რომლებშიც არის ერთი ან ორი „ლ“ – იულია, ალა – მაინც სხვებზე უფრო ბედნიერები არიან.**

– ეს ასე არაა. ბედნიერება დამოკიდებულია სახელისა და მამის სახელის შეხამებაზე. თუმცა მე გამოვარკვიე, რომ სახელები, სადაც არის ერთი, განსაკუთრებით ორი „რ“, ხელს უწყობენ ყველაზე შეუცნობელ ხასიათს.

**– როგორ ახსნით, რომ სახელი ახდენს გავლენას ხასიათსა და ბედზე?**

– როდესაც წარმოთქვამენ სახელს – ეს კი დღეში ათჯერ მაინც ხდება – ხმა გავლენას ახდენს ტვინზე და ფსიქიკურ ხასიათზე. და ზოგს ერთი სახელი ეხმარება, ამშვიდებს, მეორეს კი აღიზიანებს. ბევრს ვაკვირდებოდი, ვაგროვებდი სტატისტიკურ მონაცემებს. შეხედეთ ბევრ ვიქტორ ალექსანდრეს ძეს, და შენიშნავთ, რომ ისინი რაღაცით ჰგვანან ერთმანეთს. ედიკების უმრავლესობა არიან ხუმარები და ისინი ქალებს უყვართ. ისტორიაც ბევრ მაგალითს იძლევა სახელის გავლენის შესახებ ადამიანის ბედზე. ბევრ ხალხში, მათ შორის რუსეთშიც, იყო წესი, დაერქმიათ ბავშვისთვის ორი სახელი („სრ“ რედაქციისგან: ეს წესი საქართველოს ბევრ კუთხეშიც არსებობსძ, თანაც ისე, რომ ძირითადი, რომელიც ნათლობის დროს მისცეს, დაეფარათ, რომ შეცდომაში შეეყვანათ ბოროტი ძალები. ძველ ისრაელში დაბადების დროს მიცემულ სახელს ცვლიდნენ რამდენჯერმე – როდესაც ბავშვი იწყებდა სიარულს, სკოლის დაწყებამდე და მის შემდეგ, ქორწინების შემდეგ, რომ ის დახმარებოდა მას ცხოვრების ყოველ ახალ ეტაპზე. ინგლისელმა თერაპევტებმა აღმოაჩინეს, რომ უცნაური სახელის ადამიანები ხშირად იტანჯებიან კომპლექსებითა და ფსიქიკური მოშლილობით. ამერიკელებმა შენიშნეს, რომ ჭაბუკები სახელებით – როკი და ჩაკი ხშირად ფეხბურთელები ან მოკრივეები ხდებიან.

### ჭივჭავებისთვის (ჩიჟიკოვებისთვის) იოლია

**– გვარებზე რაღას იტყოდით?**

– გვარებს, რომლებიც მოდის მტაცებელი ცხოველებისგან, ხასიათში აქვთ სიმკაცრის ნიშნები. ისეთ გვარებზე, როგორიცაა, მაგალითად, ვორობიოვი, ჩიჟიკოვი, კარასიოვი, გარშემო მყოფნი რეაგირებას ახდენენ უფრო დადებითად, ამიტომ მათ ცხოვრება არ უჭირთ. არის კრიმინალური გვარები, მათ დიდად არ უყვართ კანონები, მათ განეკუთვნებათ ნოვიკოვები. ყველა არა, რასაკვირველია...

**– მსახიობის ფსევდონიმსაც აქვს მნიშვნელობა?**

– რა თქმა უნდა! ამას წინათ გასული სერიალის „სკოლა“ რეჟისორმა ვალერია გაი გერმანიკმა, ჩემი აზრით, სწორად ვერ შეარჩია ფსევდონიმი. ამიტომ ხვდება ხოლმე მას ბევრი უსიამოვნო ამბები. ამას წინათ ლაპარაკობდნენ, რომ ის საავადმყოფოში მოხვდა.

**– როგორ შევურჩიოთ ბავშვს სახელი?**

– უნდა გამოვიდეთ სახელის მამის სახელთან შეხმატკბილებიდან და დაბადების თვესთან დაკავშირებით, დეკემბრისა და თებერვლის ბავშვები ჯიუტები, მოუსვენრები არიან, განსაკუთრებით იგორის ძეები, ოლეგის ძეები, დიმიტრი ძეები– მათ უნდა დავარქვათ ტემპერამენტის შემამსუბუქებელი სახელები: ალექსი, მიხეილი, სერგეი, ანდრეი. მარტისანები მგრძნობიარენი, ადვილად აღგზნებადი, წუნიები არიან. მათ შეეფერებათ დიმიტრი, იგორი, კონსტანტინე. ზაფხულში დაბადებულებს შეიძლება დავარქვათ ედუარდი, სტანისლავი, ოლეგი. მაგრამ ნუ დაარქმევთ ბავშვს მამის, კატასტროფაში დაღუპული ნათესავის სახელს. ერთნაირი სახელისა და მამის სახელის მქონე ხალხს დიდი აქვს უბედური შემთხვევისაგან დაზარალების რისკი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ თავის შვილს დაარქვა თავის სახელი და ის დაიღუპა. ტრაგიკულად დამთავრდა რეჟისორისა და მსახიობის სერგეი ბოდროვ-უმცროსის ცხოვრება. მაგალითები შეიძლება გავაგრძელოთ. არ არის სასურველი გოგონებს დავარქვათ კაცის სახელები. ისინი უხეშები იზრდებიან. მე წინააღმდეგი ვარ შემოკლებული სახელებისაც. შვილ ვლადიმერს ნუ დაუძახებთ ვოვკას ჯობია ვალოდია.

### ნანა დაშას მაგივრად

**– სახელს თუ შევცვლით, ცხოვრება მოწესრიგდება?**

– ჩემს პრაქტიკაში ასეთი ისტორიები ბევრია. ერთხელ მოიყვანეს 5 წლის გოგონა – დარია კონსტანტინეს ასული – დიდი ბებიას სახელის უკვდავსაყოფად. მშობლები ჩიოდნენ. ბავშვი ძალიან ნერვიულია, ეჩხუბება სხვა ბავშვებს. როდესაც მას სხვა სახელი – ნანა დაარქვეს, ბავშვი შეიცვალა – გახდა უფრო მშვიდი, კეთილი. მეორე კლიენტს იური ალექსის ძეს აწუხებდა კატარაქტა, ვერ ახერხებდა ცოლის შერთვას. მე მას სახელად იგორი შევურჩიე და მან გადაწყვიტა გაეკეთებინა ოპერაცია, რომელმაც მას დაუბრუნა მხედველობა, მოეკიდა ოჯახს. ახალგაზრდა ქალს ირინას, რომელსაც არ უმართლებდა საქმროებში და სამსახურთან დაკავშირებით, მე შევთავაზე სახელი ესმერალდა. ამჟამად მისი ცხოვრება გაუმჯობესდა. მაგრამ სახელი უნდა გამოუცვალო ნამდვილად, პასპორტით.

**– ამბობენ, თქვენ დამნაშავეებსაც ამოიცნობთ ხოლმე სახელით?**

– ერთხელ დიდმა ბანკირმა მთხოვა, დავხმარებოდი დიდი თანხის დაკარგვის გამოკვლევაში. ეჭვი თავისიანებზე ჰქონდათ. თანამშრომლების აღწერით მე განვსაზღვრე ხალხი, ვისაც მიდრეკილება ჰქონდა აფერასთან. და ჩემი ვარაუდი შემდეგ გამართლდა. მოსკოვის ოლქის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ფსიქოლოგების აღიარებით, პოტენციური დამნაშავეების ხასიათების ჩემი აღწერა სახელების მიხედვით გამართლდა 70-90 პროცენტამდე სიზუსტით.

**– როდესაც ადამიანი გაიგებს, რომ მისი სახელი წარუმატებელია, რა, მაშინვე უნდა გამოიცვალოს იგი?**

– შეიძლება გამოიცვალოს, ან გაიგოს თავისი ნაკლოვანებები და ისწავლოს მათთან ბრძოლა.

**იულია ბორტა**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

**დოსიე**



***ბორის ხიგირი დაიბადა 1942 წელს უზბეკეთში, მაგრამ ცხოვრობდა და მუშაობდა ჯერ ხარკოვში, შემდეგ კი უკანასკნელი 17 წელი – მოსკოვში. ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, დაწერილი აქვს 40-ზე მეტი წიგნი სახელის როლის შესახებ ადამიანის ბედში. მიღებული აქვს გაეროს დიდი ვერცხლის მედალი ფსიქოლოგიის განვითარებაში წვლილისათვის.***

**„სრ“ რედაქციისაგან:**

***ამ საინტერესო სტატიასთან დაკავშირებით, კარგი იქნებოდა გაგვეგო ფსიქოლოგების დამოკიდებულება ქართულ სახელებზეც. ველით თქვენს გამოხმაურებას, ქართველო ფსიქოლოგებო. ვფიქრობთ, ეს დიდად გამოადგებათ ჩვენს მშობლებსაც, ბავშვებსაც და ქვეყანასაც მთლიანად.***

## დედამიწის ზურგზე




**გერმანიაში ავიაშოუზე აფრენის დროს თვითმფრინავი მაყურებლებში შეიჭრა: დაიღუპა ერთი, 38 დაჭრილია**

ხრახნიანი თვითმფრინავის პილოტმა ჯერჯერობით უცნობი მიზეზების გამო ვერ შეძლო ხომალდის მართვა, რის შემდეგაც დიდი სიჩქარით ასცდა ასაფრენ-დასაჯდომ ზოლს და შეიჭრა ხალხის მასაში.

* * *

**პაკისტანში ააფეთქეს პოლიციის უბანი: დაიღუპა 8, დაიჭრა 13 კაცი**

აფეთქება მოხდა პოლიციის განყოფილებაში ქალაქ ლაკი მარვატში პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთში. ადგილობრივი პოლიციის მონაცემებით, ეს იყო ტერორისტული აქტი. დაიღუპა სულ ცოტა 8 პოლიციელი. გასულ პარასკევს პაკისტანში მოხდა 3 ტერაქტი, რომლებშიც დაიღუპა 64 და დაიჭრა 160-ზე მეტი კაცი.

* * *

**დუშანბეში ღამის კლუბში მოხდა აფეთქება: დაიჭრა 5 კაცი**

აფეთქება მოხდა ღამის კლუბ „დუსტიში“ ტაჯიკეთის დედაქალაქის სამხრეთ გარეუბანში. ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო დაბალი სიმძლავრისა და ამოქმედდა საცეკვაო დარბაზის ერთ-ერთ მაგიდაზე. 5 დაზარალებულიდან ორი, რომლებიც აფეთქების ცენტრში იყვნენ, მძიმე მდგომარეობაშია.

* * *

**ადენის ყურეში ჩინელმა სამხედროებმა მოიგერიეს 21 გემისგან შემდგარი მეკობრეების შეტევა**




მეკობრეები უტევდნენ 3 ტალღად. თავის მხრივ, ჩინელმა სამხედროებმა ჰაერში აუშვეს შვეულმფრენი დიდი სადესანტო ხომალდიდან, ფრეგატი კი იგერიებდა მეკობრეების ნავებს ხმაურიანი ყუმბარებითა და ტყვიამფრქვევებით.

* * *

**ჩინელები „მიცუბიშისგან“ მოითხოვენ კომპენსაციას მეორე მსოფლიო ომის წლებში ექსპლუატაციისთვის**

კორპორაციის მთავარ ოფისში და მის განყოფილებებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში კოლექტიური სარჩელის შეტანა პროვინცია „შინდუნის“ ასობით მცხოვრებმა გადაწყვიტა 18 სექტემბრისთვის – ამ დღეს სრულდება 79 წლისთავი მანჯურიაში იაპონიის 1931 წლის ინტერვენციიდან. მესარჩლეები ითხოვენ ოფიციალურ ბოდიშის მოხდას და თვითეული მათგანისთვის 14,8 ათას დოლარს.

MITSUBISHI MOTORS

* * *

**ეკვადორში მთვრალი მძღოლი სატვირთო ავტომობილით შეიჭრა გაჩერებაზე: დაიღუპა 15, დაიჭრა 10 კაცი**

სატვირთო ავტომანქანის მთვრალმა მძღოლმა გზის ამ მონაკვეთისთვის დაწესებულ მაქსიმალურ სიჩქარეს გადააჭარბა. შედეგად ავტომანქანამ დაკარგა მართვა და შეიჭრა გაჩერებაზე, აგრეთვე მახლობლად მყოფ პროდუქტების კარავში. აღშფოთებულმა ადგილობრივმა მცხოვრებმა დაწვეს სატვირთო ავტომანქანა, აგრეთვე პოლიციის მანქანა.

* * *

**გვატემალაში ღვარცოფმა ხრამში ჩაიტანა 5 ავტომობილი და ავტობუსი: ამოიღეს 21 ნეშთი**

ოპერაცია ხალხის საძიებლად დროებით შეჩერდა დიდი წვიმების გამო. მას განაახლებენ, როგორც კი გაუმჯობესდება ბუნებრივი პირობები კატასტროფის რაიონში. ვარაუდობენ, რომ ტალახისა და ქვების ფენების ქვეშ კიდევ რამდენიმე ათეული ადამიანია. ოპერაციის დროს შეძლეს მხოლოდ 15 კაცის გადარჩენა.

ახლახან გამოიცა

# რომანი ვახტანგ გორგასალზე




**ნიჭიერი კაცია ლერი მუსხელაძე, წარმატებული ჟურნალისტი, რედაქტორი, მრავალი ჟურნალ-გაზეთის გამომცემელი, მოგვიანებით პროზაში გადასული და საყურადღებო მოთხრობებისა და რომანების ავტორი...**

და მაინც, ცოტა შევცბი, ახლახან, თავისი ახალი რომანი **ვახტანგ გორგასალი** რომ მისახსოვრა. „ასწია“ კი ეს უძნელესი თემა ჩვენმა ლერიმ? უნდა გითხრათ, რომ ეჭვი უკვე პირველი გვერდების კითხვისას გაიფანტა, სიამოვნებით ჩავამთავრე რომანი და მივულოცე კიდეც ავტორს.

„მთელი სამოცი წელი არ წაშლილა ჩემი მეხსიერებიდან სახელი ამ სწორუპოვარი მებრძოლისა, უჭკვიანესი პოლიტიკოსისა, მთავარსარდლისა და მეფისა, რომელმაც წარუშლელი კვალი დააჩნია ქართველი ერის ისტორიას... რომანის დაწერას ხუთი წელი მოვანდომე, მაგრამ წინ იყო არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა – დაფინანსება, წიგნის სამზეოზე გამოტანა“ – მითხრა ლერიმ.

ლერი მუსხელაძისთანა მარჯვე კაცს, რალაი რომანი გაასრულა, მისი სამზეოზე გამოტანა აღარ გაუჭირდებოდა და აი, იგი რჩება მკითხველის პირისპირ. მე პირადად დარწმუნებული ვარ, რომ შესანიშნავი თხრობით, სხვადასხვა ისტორიული მასალის ზომიერი მოშველიებით, დიდი მეფის სახის ოსტატურად ძერწვით, ლერი მუსხელაძის რომანი სწორედაც რომ დაიმსახურებს მკითხველის ინტერესს.

წიგნის რედაქტორები არიან ლულუ მენთეშაშვილი და ჯენეტო ჭანტურია, კონსულტანტი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ გოილაძე. როგორც ყოველთვის, მისთვის ჩვეული პირუთვნელი და მიუკერძოებელი წინასიტყვაობა წაუმძღვარებია წიგნისთვის ნოდარ ტაბიძეს. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის რესპუბლიკის დამსახურებულ მხატვარს ალექსანდრე ციხელაშვილს.

„ვახტანგ გორგასალი“ გამოიცა გამომცემლობა „პოლიგრაფმაქსში“.

**ვილენ მარდალეიშვილი.**

**ქვემოთ გთავაზობთ ნაწყვეტს ლერი მუსხელაძის რომანიდან „ვახტანგ გორგასალი“.**

„მაცნე მოვიდა კახეთით.

კავადმა მიწასთან გაასწორა, გადაწვა და გადაბუგა კამბეჩოვანი, ჭერმის ციხე, ველისციხე და იორზე დაბანაკდა, იქ ელის ქართველთა სპასო.

ვახტანგმა სამ ნაწილად დაჰყო ლაშქარი.

მარჯვენა სადროშოს ჯუანშერი უსარდლა.

მარცხენა სადროშო ადარნასე ერისთავს მიანდო.

თვითონ გორგასალი ცენტრში დარჩა, რომ მას მიეტანა იერიში ირანის შაჰზე, მის კარავზე, სადაც შაჰი და ყველა ირანელი დიდებული ეგულებოდა.

და საერთოდაც, მუდამ ბრძოლის შუაგულში ტრიალებდა მეფე ვახტანგი. აქედან სრულყოფილად აკონტროლებდა ომის მსვლელობას.

პეტრე კათალიკოსმა, თან რომ ახლდა ვახტანგს, დალოცვა მეფეც და ლაშქარიც.

სამ დღეს ღრიალებდა სისხლით აყეფებული იორი.

სამ დღეს ილებებოდა წითლად სამშობლოს მიწა.

სამ დღეს ისმოდა ცხენთა ჭიხვინი და ირანელთა ყვირილი – „დურ აზ გორგასარ!“

და ამ ბრძოლას გვირგვინად ადგა გორგასლის ჯერ არნახული გმირობა, ამ კაცის გასაოცარი უძლეველობა, სისხარტე და ნიჭი სარდლობისა.

მაგრამ...

„ყოველთა დღეთა იბრძოდეს, და დაეცემოდა ორთავე სპათაგან ურიცხვი“.

გამარჯვების სასწორი ხან ერთ მხარეს იხრებოდა, ხან მეორეს, მაგრამ ირანელნი იმდენად ბევრნი იყვნენ მათ ლაშქარს არ ეტყობოდა მებრძოლთა კლება, ქართველთა სპა კი... თენდებოდა დღე გადამწყვეტი ბრძოლისა.

იმ ღამეს ქართლის შეთხელებულ მეომრებს სიტყვით მიმართა გორგასალმა: „ყოველი კაცი, რომელი დარჩეს სიკუდილისაგან, და მტერთა ჩვენთაგანისა თავი ანუ ხელი არ გამოიტანოს, ჩუენ მიერ მოკუედინ იგი“.

პეტრე კათალიკოსმა გადამწყვეტი ბრძოლის წინ კიდევ დალოცა ომებში გაჭაღარავებული მეფე ვახტანგი, რომელიც უკანასკნელ ბრძოლას იხდიდა.

საომრად გაფიცხებულ მეომრებს გორგასალმა კიდევ ერთხელ უჩვენა გმირული ბრძოლის მაგალითი.

დილის რიჟრაჟზე მებრძოლთა მცირერიცხოვანი გუნდით შურდილივით შევარდა ირანელთა ბანაკის შუაგულში და იერიში მიიტანა შაჰის კარავზე.

კავად შაჰმა დროზე შეამჩნია ხმალამოწვდილი ვახტანგ გორგასალი, რომელიც აშკარა იყო მასთან შესაბმელად მოაგელვებდა თავის ბედაურს.

გაქცევით უშველა თავს.

გორგასალს ხელში მხოლოდ მისი ძე შერჩა, ბარტომი.

– ძაღლისშვილო, გაიქცა მამაშენი, გიღალატა, მხოლოდ შენ შემრჩი შურის საძიებლად? – შეუძახა გააფთრებულმა ვახტანგმა და ხმლის ერთი მოქნევით წააცალა თავი.

კავად შაჰი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ქართველთა უძლეველობის მთავარ გმირს, გორგასალს თუ არ მოიშორებდა თავიდან, სისულელე იყო ფიქრი ქართველთა დამარცხებაზე. ვახტანგის მოღალატეები მოინახულეს შაჰის კბილებალესილმა ჯალათებმა. ბლომად ჩამოურიგეს ოქრო, ოღონდ ვახტანგ გორგასლის მზე დაებნელებინათ.

შვილის სიკვდილით დამწუხრებულმა კავად შაჰმა, მიზნის აუცილებლად მისაღწევად, ბრძანება გასცა: ორ-სამ, თუ საჭირო იქნებოდა ოთხ, ხუთ ალყაში მოექციათ გორგასალი და ადგილზე ჩაეჩეხათ.

მცირერიცხოვან მხედრობასთან ერთად მართლაც ალყაში მოაქციეს ირანელებმა გორგასალი. ქართლის მეფეს გვერდში უდგანან ბრძოლაში ნაცადი ვაჟკაცები, მათ შორის ჩვენთვის ცნობილი ლეჩხუმელი, კახელი, რომელმაც მეფის საპატივსაცემოდ უჩვეულო ნადიმი გადაიხადა ველისციხეში. ვახტანგი მიხვდა, რომ შაჰმა ისეთ ხაფანგში მოაქცია იგი, რომ მხოლოდ სასწაული თუ იხსნიდა დაღუპვისაგან.

ამირანის სული შთაბერა უფალმა ვახტანგს, არგაგონილი ხმით დაიყვირა და მოწინაალმდეგეს ეკვეთა. ვახტანგის განწირულმა ხმამ მეგობრების – ნასარის, არტავაზისა და ბივრიტიანის ყურამდეც მიაღწია. სხვა მებრძოლებთან ერთად მათ ბრძოლით გაიკაფეს გზა გორგასლისაკენ და იხილეს ჯერ არნახული ბრძოლა ქართველთ მეფისა. მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან ისეთი სისწრაფითა და ძალით იქნევდა გორგასალი ხმალს, რომ მოწინაალმდეგეს შუაზე კვეთდა. მაგრამ ერთს ორი ემატებოდა, ორს – ოთხი. თითზე ჩამოსათვლელნი დარჩნენ გორგასალის თანამებრძოლნი. გორგასალსაც თანდათან ელეოდა ძალა.

სწორედ ამ დროს წამოეშველნენ მეგობრები ვახტანგს, დაღუპვისაგან იხსნეს ქართლის სამეფოს გვირგვინოსანი, ლეჩხუმელსა და კახელს კი ველარაფერი უშველეს, ისინი გმირულად დაეცნენ ვახტანგის გადარჩენისათვის ბრძოლაში.

და მის ყურში უცებ ნაცნობმა ხმამ იწივლა, იკივლა, იყვირა: ღალატი, სიკვდილი, ღალატი, სიკვდილი, სიკვდილი!

უხილავი არსება გორგასალს ღალატსა და სიკვდილზე მიანიშნებდა. სიკვდილზე, რომელიც ვახტანგის ყურის ძირში იყო ჩასაფრებული.

სიკვდილმაც აღარ დააყოვნა. აწეული მარცხენა ხელი ჰაერში გაუშეშდა:

საშინელი წვა იგრძნო მკერდში.

ხელი მოისვა მკერდზე.

სისხლით შეეღება სამშობლოს დასაცავ ბრძოლებში გადაღლილი მარჯვენა.

საოცარი რამ მოხდა.

მდუმარებამ დაისადგურა მეფის ყურებში.

აღარც ღალატს აწყობინებდა ვინმე და აღარც სიკვდილზე გაჰკიოდა.

ანდა იყო კიდევ ეს საჭირო, როცა მოღალატე ფეოდალებმა შაჰის სურვილი აღასრულეს? არაკაცმა ბრძოლის დროს გორგასალს სასიკვდილო ისარი სტყორცნა.

ისარი ფილტვამდე იყო ნაკრავი, მაგრამ გორგასალს, მიუხედავად იმისა, რომ სისხლისგან იცლებოდა, ბრძოლა არ მიუტოვებია, გამარჯვებამდე იქნია ხმალი.

ვაი რომ, ეს გამარჯვება, რომელმაც 28 ათასი ქართველი შეიწირა, მათ შორის ჩვენთვის ნაცნობი ლეჩხუმელი და კახელი ომში ნაწრთობი ბიჭები, ხანმოკლე აღმოჩნდა.

ირანელებმა, რომელთაგან ასოცდაათი ათასი ბრძოლის ველზე დარჩა, უკან დაიხიეს და ბოსტან-ქალაქში დაბანაკდნენ.

სასიკვდილოდ დაჭრილი ვახტანგი, რომელსაც ფეხზე დგომა აღარ შეეძლო, უჯარმაში გადაიყვანეს.

ირანელები ზავზე ბჭობდნენ.

უჯარმაში სიკვდილი ხარხარებდა, ღალატი ზეიმობდა.

სიკვდილი უვლიდა დავლურს.

სიკვდილი როკავდა.

ტრაგედია

## ორი კაცი დაიღუპა

**გორის რაიონის სოფელ ფლავისმანთან მომხდარ ავტოავარიას ორი ადამიანი ემსხვერპლა.**

**დიდი სიჩქარით მოძრავი „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და გადაბრუნდა. ავტომანქანაში 5 მგზავრი იმყოფებოდა. მათგან ორი – ლევან ეცადაშვილი და გაგა კაპანაძე დაიღუპნენ, დანარჩენები სხვადასხვა დაზიანებებით სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გორის საავადმყოფოში გადაიყვანა.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა:** **ვმუშაობ შრომითი ხელშეკრულებით, მიმაჩნია, რომ ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას დროულად და ხარისხიანად ვასრულებ. დამსაქმებელი მაინც უკმაყოფილოა ჩემი მუშაობით და დადებული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით მემუქრება. იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე და დახმარებისთვის ვის მივმართო?**

**ვალერი აბაკელია**

**პასუხი:** თუ თქვენი მხრიდან შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, დამსაქმებლის გადაწყვეტილება – ყოვლად უმიზეზოდ ვადამდე შეგიწყვიტოთ ხელშეკრულება, არ იქნება მართებული. დაელოდეთ მოვლენის მსვლელობას და თუ ნამდვილად, სათანადო საფუძვლის გარეშე ვადამდე დამსაქმებელი შეგიწყვეტს შრომით ხელშეკრულებას, მოტივირებული განცხადებით დაუყოვნებლივ მიმართეთ სასამართლოს თქვენი კანონიერი უფლებების დასაცავად.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 99-62-77.**

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**შპს თასსკი „ელვა“ აცხადებს აუქციონს საწარმოს ბალანსზე რიცხული 47 მ² ფართზე ეზოში სავაჭრო ჯიხურის ჩასადგმელად.**

საწყისი საიჯარო ქირა შეადგენს 5 (ხუთ) ლარს.

აღნიშნულ საწყის ქირას ემატება დღგ და კომუნალური გადასახადები.

აუქციონი ჩატარდება 2010 წლის 22 სექტემბერს 14 საათზე, ჯიქიას ქ. № 10-ში. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2010 წლის 21 სექტემბერი.

**საკონტაქტო ტელეფონი 54-51-95.**

**საწარმოს დირექცია.**



**ამალია, ჯემალ, რეზო რამიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უსაყვარლესი ბიძაშვილის**

**ანზორ რამიშვილის**

**გარდაცვალებას.**

**მზესავით თბილი გული და თვალები უშურველად ასხივებდა სითბოს და სიყვარულს, როგორც ოჯახის წევრების, ასევე ნათესავების, მეგობრების მიმართ. იყავი ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. დაუღლელად ვილოცებთ შენი სულისათვის და ღმერთს შევთხოვთ, ზეციური სასუფეველი დაუმკვიდროს შენს ლამაზ სულს.**

გახსენება

## ბერდია ნანობაშვილი



**ჩვენო კარგო ბერდია, ერთი წელი გავიდა, რაც შენი ლამაზი სიცოცხლე და კეთილი გულისცემა შეწყდა. დიდ ტკივილსა და ცრემლიან მონატრებაში გაილია ეს დრო. შენ ხომ მოსიყვარულე მეუღლე, მამა და პაპა იყავი. მეტად ღირსეულმა, ბევრი კეთილი თვისებით აღსავსემ და უღალატო ადამიანმა სამუდამო ტკივილი დატოვე ოჯახის, ნათესავების, მეგობრებისა და იმათ გულებში, ვისთანაც ნაცნობობა და შემოქმედებითი ურთიერთობა გქონია.**

**დღეს შენს მიერ საინტერესოდ განვლილ გზას ვიხსენებთ. გვჯერა, რომ შენი იმქვეყნიური ცხოვრება შენი სულივით ნათელია. ყველას ენატრები, ვისთვისაც ერთხელ მაინც გიჩუქებია სითბოთი და სიკეთით გაბრწყინებული ღიმილი. ასეთ ღიმილიანს, ნეტა როგორ შეგელია სიცოცხლე...**

**ამბობენ, ვინც მოკვდა, თავის თავს მოუკვდაო, ტყუილია ეს სიტყვები. ცხოვრება გრძელდება, მაგრამ უშენობით დამწუხრებული გული ტკივილს შეეჩვია, თვალი – ცრემლს.**

**შენს ოჯახს, ახლობლებს, მრავალრიცხოვან მკითხველს 12 წიგნი დაუტოვე: ლექსები, იგავ-არაკები, ანდაზები, რომანები, აკროსტიქები, რობაიები, პიესები და თარგმანები. ალბათ კვლავაც მრავალჯერ გახმიანდება შენს ლექსებზე აჟღერებული ცნობილი კომპოზიტორების მიერ შექმნილი 30-ზე მეტი სიმღერა.**

**მე-13 წიგნის დასრულება აღარ დაგცალდა. თუმც გამიჭირდა, მაგრამ შევეცადე შენი წლისთავისთვის გამოსულიყო... წიგნს „წმინდა სანთლები“ ჰქვია.**

**წმინდა სანთლებს არ მოგაკლებთ და უფალს შენს ლამაზ სულს შევავედრებთ.**

**მეუღლე მაყვალა ტატუნაშვილი.**

## დაიჯესტი

### მომხიბლაობისა და სიფუმფულის კასტა

**– სისულელის, უგემოვნობის, იაფფასიანი პიარის აპოთეოზი! – ამ ეპითეტებით შეამკეს ავმა ენებმა 31 წლის ფრანგი მსახიობი და სუპერმოდელი ლეტიცია კასტა, როცა იგი საფრანგეთის ეროვნული კინოაკადემიის პრემიით „სეზარით“ დაჯილდოების ცერემონიაზე გამჭვირვალე კაბაში გამოწყობილი, თანაც... უსაცვლებოდ მივიდა. საბრალო ლეტიციას ჟურნალისტებისგან ადრეც „მოხვედრია“. მას ჭარბ წონასა და სიდაბლეში სდებდნენ ბრალს (შესაბამისად, 57 კილოგრამი და 169 სანტიმეტრი). ასევე არ მოსწონთ მისი დაუხვეწაობა და სიცივე. არადა, ამ დროს მისი ფოტოებით თითქმის ყველა გლამურული ჟურნალის გარეკანია აჭრელებული.**



მართლაც, „ნაფოტა“ ლეტიცია არასდროს ყოფილა, მაგრამ იგი იმ ქალთა იშვიათ ტიპს განეკუთვნება, ვისი ზედმეტად დიდი მკერდიც კი დროთა განმავლობაში ფორმას არ კარგავს და მუდამ მიმზიდველია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იგი უკვე სამი შვილის დედაა, თანაც უმცროსი ქალიშვილი სულ წლინახევრისაა.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ წლეულს „სეზარის“ ლაურეატები გახდნენ: საუკეთესო ფილმი – „წინასწარმეტყველი“, საუკეთესო რეჟისორი – „წინასწარმეტყველის“ რეჟისორი ჟაკ ოდიარი, საუკეთესო მსახიობი მამაკაცი – ტაჰარ რაჰიმი („წინასწარმეტყველი“), საუკეთესო მსახიობი ქალი – იზაბელ აჯანი („ქვედაბოლოს დღე“), საუკეთესო უცხოური ფილმი – „გრან ტორინო“ (კლინტ ისტვუდი), ასევე მსოფლიო კინემატოგრაფში შეტანილი წვლილისთვის – ჰარისონ ფორდი.

### ეს საყვარელი ბებოები

**იმათ, ვისაც ბავშვობაში ბებიების სითბო და ალერსი დაკლებია, ცხოვრებაში ბევრი რამ აქვს დაკარგული თანაც, როგორც ფსიქოლოგებმა დაადგინეს:**

რაც უფრო დიდ ხანს ურთიერთობენ ბავშვები ბებიებთან და ბაბუებთან, მით უფრო მეტად სტაბილურია მათი ემოციური მდგომარეობა და უფრო ნაკლებად ვლინდება მათში ჰიპერაქტიური ნიშნები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაკლებს ცელქობენ;

ბავშვს, რომლის ბებია დედამისზე ფეხმძიმობის დროს თამბაქოს ეწეოდა, იმ ბავშვთან შედარებით, ვის ბებიაც თავის ნაყოფს კანცეროგენებით არ წამლავდა, ასთმით დაავადების საშიშროება ორჯერ უფრო მეტად ემუქრება;



შვილიშვილთა 50 პროცენტმა საყვარელ ბებიად დედის დედა დაასახელა, ხოლო მამის დედა უფრო საყვარელია გამოკითხულთა 14 პროცენტისთვის. დანარჩენების სიყვარული ბებიებს შორის ტოლად განაწილდა;

პატარას სხვადასხვა სახეობის ტრავმის მიღების ალბათობა ორჯერ უფრო უმცირდება მაშინ, თუკი მას მშობლების არყოფნისას ბებია პატრონობს და არა ძიძა;

განქორწინებული ან დაქვრივებული ხანდაზმული ადამიანები ორჯერ უფრო იშვიათად ნახულობენ თავიანთ შვილიშვილებს, ვიდრე ქორწინებაში მყოფი მათი თანატოლები;

ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ ბებიებში, რომლებიც შვილიშვილებს უვლიან, გულის სისხლძარღვთა დაავადების საშიშროება 55 პროცენტით იზრდება. ეს იმ დატვირთვასთანაა დაკავშირებული, რომელიც ხანდაზმულ ქალბატონებზე ბავშვებზე ზრუნავასთან დაკავშირებით მოდის. ასევე აღმოჩნდა, რომ დაავადების რისკი იზრდება იმ შემთხვევაში, თუკი შვილიშვილების მოვლას ისინი კვირაში ცხრა და მეტ საათს ანდომებენ.

### „ფიდელიო“... ზონაში



**გულაგის ერთ-ერთი ყველაზე საშინელი საპატიმრო ბანაკი „პერმი-36“... თეატრალურ მოედნად გადააქციეს.** ერთი კვირის განმავლობაში პერმის ოპერისა და ბალეტის თეატრი იქ ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის ოპერა „ფიდელიოს“ წარადგენდა. დადგმაში 600 (!) კაცი მონაწილეობდა, გიგანტური სცენის როლს კი ყოფილი ბანაკის მთელი ტერიტორია ასრულებდა. იდეის ავტორია ინგლისელი რეჟისორი მაიკლ ჰანტი.

**მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ**

## დედაქალაქის სიახლენი

### უკან დატრიალებული „ეშმაკის ბორბალი“, ცეცხლმოკიდებული ფასები და გახარებული ბავშვთასახლელები

**კვირას, 5 სექტემბერს, მთაწმინდის პარკში დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ და პარკის ხელმძღვანელობამ საზეიმოდ გახსნა „გიგანტური ბორბალი“, იგივე „ეშმაკის ბორბალი“. ნახევრადშემინულ 44 დახურული ტიპის კაბინებს 62 მეტრის სიმაღლეზე შეუძლია აიყვანოს პარკის სტუმრები, საიდანაც დედაქალაქის ულამაზესი ხედი იშლება.**

„ეშმაკის ბორბალი“, რა ეშმაკისა იქნებოდა თავისი უცნაურობებით რომ არ გაეოცებინა მნახველები. გახსნისთანავე იმდენი ხალხი მიაწყდა ატრაქციონს, რომ დაცვამ ვერ შეძლო მათი შეჩერება. ხალხი დასაშვებ ოდენობაზე მეტი შევარდა კაბინებში, რის გამოც ბორბალი უკუღმა დატრიალდა. როგორც პარკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა შორენა ცხოვრებაშვილმა განაცხადა, **„ეს არის დაცვის მექანიზმი, რომელიც ავტომატურად ამუშავდა, რათა დამსვენებლებს კაბინები დროულად დაეცალათ“.**



ასე, რომ „ბორბალი“ საზეიმო გახსნიდან ერთ საათში გადატვირთვის გამო გაჩერდა. ორშაბათიდან კი იგი, ყოველდღე 13 საათიდან შეუფერხებლად იმუშავებს, რადგან არა მგონია იმ ფასის გამო, რაც გასეირნება, ანუ დატრიალება ღირს, კვლავ თავპირისმტვრევა იყოს ადგილის დასაკავებლად – ბილეთის ფასი 5 ლარია. ასე, რომ ოთხსულიან ოჯახს ზემოდან, ანუ „ეშმაკის ბორბლიდან“ დედაქალაქზე გადმოხედვა 20 ლარი დაუჯდება. რომ არაფერი ვთქვათ სხვა ატრაქციონებზე და ახლადგახსნილ „საჭყუმპალაოში“ გართობაზე.



ეს სიამოვნება მხოლოდ ბავშვთა სახლების მობინადრეებისთვისაა უფასო. სხვათა შორის ქალაქის მესვეურების კეთილი ნებით მათ ორშაბათს მართლაც დაუვიწყარი დრო გაატარეს. ამისათვის მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ სხვებმა...

**ავთანდილ ბექაური,**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8419 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3654 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8360 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0012 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0459 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2923 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3322 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2230 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7075 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +19 – +35 |
| ქუთაისი. | +21 – +32 |
| ბათუმი. | +20 – +25 |
| ზუგდიდი. | +22 – +29 |
| თელავი. | +19 – +33 |

## კადრი



## ანეკდოტები

– ქალიშვილო, რას აკეთებთ ამ საღამოს? – ეკითხება გოგოს ივანიჩი.
– არაფერს.
– აი, უსაქმური!

* * *

2020 წლის ახალი ამბებიდან: მოსკოვის რუსულ კვარტალში არეულობებმა იფეთქა.



* * *

– ექიმო, თქვენთან მადლობის სათქმელად მოვედი.
– მობრძანდით, ოღონდ, მაპატიეთ, მაგრამ ვერ ვიხსენებ, თქვენ პაციენტი ხართ თუ მისი მემკვიდრე?

* * *

– ოღონდ, გთხოვთ, ნუ ეცდებით ჩემს დარწმუნებას, ამით უცებ ვფეხმძიმდები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.